



ილორი

www.ilori.ge



№96 (157) 7 დეკემბერი 2010

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო

30 თეთრი

ქვეყანას ნამდვილი ოპოზიციის სჭირდება, ოპოზიციას – ნამდვილი ლიდერი!

25 ნოემბერს კიდევ ერთხელ “ჩაისვარა” ოპოზიციამ, ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ წინასწარ იცოდა ხალხმა, თუ როგორ სამარცხვინოდ ჩაიშლება ოპოზიციის მიერ “აგორებულ პროტესტის ტალღა”. ამაზე ადრე გვაფრთხილებდნენ პოლიტიკოსები, რომელთაც ქვეყანაში მიდინარე რეალური და მოჩვენებითი პროცესების ანალიზისა და ქვეყნის პოლიტიკური მომავლის განჭვრეტის ნიჭი გააჩნიათ.

25 ნოემბერს კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა – არ შეიძლება ქვეყანაში გაიმარჯვოს იმ მმართველმა ან ოპოზიციურმა ძალამ, რომელსაც ხალხის ნდობის ვოტუმი ეროზირებული აქვს! ოპოზიციის ჯერ კიდევ მაშინ გაიწერა დასამარცხებლად, როცა ხელისუფლების მიერ ოპოზიციის გარკვეული ნაწილის ფულზე მოსყიდვის შემდგომ ერთ დროს ერთ რიგში მდგარი პოლიტიკური ძალები დაიქსაქსნენ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეუდგნენ აქტიურად ხელისუფლებაში მოსვლის ანგარებითი ამოცანების განხორციელებას.

სატელევიზიო გამოკითხვით, ოპოზიციის აქციის ჩაგვარდნის მიზეზი გახლდათ საზოგადოების აპათია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ, თუმცა, ამაში დიდი როლი ითამაშა მასების უნდობლობამაც ოპოზიციის მიმართ. ეს უნდობლობა უცებ არ ჩამოვარდნილა ციდან – იგი სტალაქტიკებისა და სტალაგამიტების მსგავსად ყოველწამიერად იზრდებოდა ოპოზიციის არაადექვატური ქმედებების გამოისობით. ხელისუფლებამ ჭეშმარიტად პრინციპული და მოუსყიდავი ოპოზიციის ყველა უკადრისი ხერხის გამოყენებით გააძევა ქვეყნიდან და ასპარეზი დაუთმო იმ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც საშორ-სალაფავის მოლოდინში ხელგაშვერილები დგანან “ნაციონალთა” წინაშე. ჩვენ ჯერ კიდევ “ილორის” წინა ნომერებში ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ ოპოზიციის მხოლოდ იმით განსხვავდებოდა მმართველი გუნდისაგან, რომ ხელისუფლებაში მოსვლა სურდათ. მათი ამოცანები კი აბსოლუტურად იდენტური გახლდათ – ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პირადი გამდიდრება ისედაც გაძვალტყავებული ქართველი ხალხის ხარჯზე. ეს ეჭვი იმიტომ გაჩნდა, რომ ოპოზიციის ყველაფერზე უკეთესობა მმართველ ძალას, გარდა იმისა, რომ “ნაციონალები” უსაშველოდ გამდიდრდნენ ხალხის გადატაცების ხარჯზე. ოპოზიციისათვის მიუღებლად იქცა არა საქართველოს ხელისუფლების კრამოლური პოლიტიკა, არამედ ის, რომ ხელისუფლება დიდ ფულს აკეთებდა და ოპოზიციას მხოლოდ მცირე ნაწილს აძლევდა.

ქართველი ხალხი გადარბდა ამ “დაშნაკ ხელისუფალთა” მმართველური პოლიტიკის შედეგად. ხალხი შეიძლება გადარბდეს მატერიალურად, მა-

გრამ ამით მის ინტელექტუალურ პოტენციალს არაფერი აკლდება. ქართველმა ხალხმა სწორედ ამიტომ განჭვრიტა ოპოზიციის ჭეშმარიტი მიზნები, და ამიტომ გამოუცხადა მას უნდობლობა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ხალხის სიმპატიებმა “ნაციონალთა” მხარეს გადაინაცვლა. პირიქით, ხალხის ზიზღი არასოდეს ყოფილა ხელისუფლების მიმართ ისეთი ძლიერი, როგორც დღესაა!

ამიტომ არის ხალხი ჭეშმარიტი ოპოზიციისა და მოუსყიდავი ლიდერის მოლოდინში! რაც შეეხება დღევანდელი ქართული ოპოზიციის ჭეშმარიტ სახეს, მისი გადაგვარების მიზეზი შორს არ უნდა ვეძიოთ. იგი აქვე, ძალიან ახლოს დევს! წესით, რაც უფრო ძლიერია ხელისუფლება, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ოპოზიციის, მაგრამ ეს იმ ქვეყნებში ხდება, სადაც ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგომ პოლიტიკურ ძალებს ერთადერთი მიზანი აქვთ – ქვეყნისა და მოშობლიური ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა. მაგრამ იქ, სადაც დაწინაურებულია სიხარბე და მომხვეჭელობა, ხელისუფლება ყოველთვის ეცდება არამად ნაშოვნი ფულის წყალობით მოისყიდოს ოპოზიციისა და ქვეყანაზე თავის დაკრულზე აცეკვოს.

დღევანდელი ოპოზიციის (რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მყავს “ფორუმელები”, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, ბატონი რეზო ესაძე და ის ცალკეული კეთილშობილი და უწესიერესი პოლიტიკოსები, რომლებიც არასოდეს წაველენ ხელისუფლებასთან ბინძურ გარიგებაზე) იმ კახა დედაკაცს მაგონებს, რომელიც ყოველანაირ უკადრის საქციელზე მიდის ფულისა და მატერიალური სარფის მოსახვეჭად. ხოლო, რაც შეეხება ხელისუფლებას, მათ მიერ მოსყიდული ტელეარხების “რუსთავი-2”-ის, “საზოგადოებრივი მაუწყებლის”, “იმედი”-სა და “რეალ-ტივი”-ს მიერ ხელისუფლების განმადიდებელი გადაცემების ხილვისა და მოსმენის შემდეგ შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისინი მიცვალებულზე საუბრობენ, რადგან, ქართული ხალხური გადმოცემის თანახმად მიცვალებულზე ან კარგი უნდა სთქვას, ან არაფერი.

ისინი “საშინლად” მაღალ შეფასებებს აძლევენ ხელისუფლების ქმედებებს. ხოლო რაც შეეხება “რუსთავი-2”-ის ერთ-ერთ მართლაც ჯამბაზ ვანო ჯავახიშვილს, იგი უკვე ლამის უსაპნოდ შეუძვრეს “ნაციონალებს”, რომლებიც გამუდმებით აძვირებენ წყალს, პროდუქტებს, საწვავს, მედიკამენტებს, ტრანსპორტით მგზავრობას და ყველაფერს აკეთებენ საქართველოდან ქართველი ხალხის გადასახვეწად. უეჭველია, რომ საქართველოს მალე დაიბრუნებენ ქართველები და ეს მართლაც გამეძაგებული ტელეარხები მაშინ საკმაოდ გაფითრებულნი და ხმაკანკალებულნი გვამცნობენ თავიანთი უბადრუკი ყოფის თაობაზე. მანამდე კი, დე

გაიხარონ, ქართველი ხალხის ჯიბრზე! დღესდღეობით კი ხელისუფლების ამ უბადრუკ მესაყვირებს სრულიადაც არ ადარდებთ ის, რომ ამ ხელისუფლების გადამიტევი მალე საბოლოოდ დაგვარგავთ არა მხოლოდ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, არამედ სრულიად საქართველოსაც.

დღეს “ნაციონალთა” ხელისუფლება ჯიუტად ახორციელებს იმ ვერაგულ გეგმას, რომელმაც სომხეთის ცეკას პირველი მდივანი ხანჭიანი შეიწირა, როცა ამიერკავკასიის ფედერაციის პირველ მდივანთან ლავრენტი ბერიასთან შევიდა და შესთავაზა: საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში გადაიტანოთ, თბილისი კი ამიერკავკასიის დედაქალაქად გამოაცხადოთ. სააკაშვილი თანდათან ათავისუფლებს საქართველოს დედაქალაქს სახელისუფლებო უწყებებისაგან, პარლამენტი და მთავრობა კი ქუთაისში გადააქვს, რითაც ახორციელებს სომხ “დაშნაკთა” ოცნებას – ჯერ თავიანთ საპარპაშოდ აქციონ აღმოსავლეთ საქართველო, შემდეგ კი სომხეთის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადონ იგი. ქართველი ერის ამას ვერ ხედავს, ან ხედავს და იმდენადაა დაძროხებული, რომ ყურადღებას არ აქცევს.

სწორედ ამიტომ სჭირდება საქართველოს ის ნამდვილი ოპოზიციის, ოპოზიციის კი ის ნამდვილი ლიდერი, რომელიც სადათან ძილიდან გამოიყვანს ქართველ ერს და შეახსენებს თავის ისტორიულ დანიშნულებას.

გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” (№216 (6.582) 19 ნოემბერი, 2010 წელი) გამოქვეყნდა ინფორმაცია ჭეშმარიტი ოპოზიციისა და იმ ლიდერის თაობაზე, რომლის მოლოდინშიც იმყოფება დღეს მთელი ქართველი ერი. ერთ-ერთი რესპონდენტი, ოჩაჩიროდან დევნილი გენო ბერიშვილი აღნიშნავს: **“ოპოზიციის უმოქმედო პოლიტიკა არაფერს ბრალავს. აკლიან მინდა გამოჩნდეს ერთი ბამოკვეთილი ლიდერი. ამჟამინდელი ე.წ. ლიდერები ყველა ბასპრილები არიან “ფორუმელების” ბარდა. უნდა აღვნიშნო, რომ აკლიან მომწონს ჩემი თანამოქალაქელი ალექსანდრე ჭაჭია. ახლოს ვიცნობ მის ოჯახს, კარგი მამის შვილია, ვკითხულობ მის ყველა სტატიას, ის ახლა სჭირდება საქართველოს. ჩემი აზრით, მას შემოკლია საქართველოს დაუბრუნოს დაკარგული ტერიტორიები”**.

როგორც ხედავთ, ალექსანდრე ჭაჭიას ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვა დროის მოთხოვნაა, და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ან ადამიანების გარკვეული წრისა!

ჩვენ კიდევ არაერთხელ მივუბრუნდებით ამ საკითხს. მანამდე კი, იმედია, ჩვენი გაზეთის მკითხველებიც მოგვაწვდიან საკუთარ აზრს!

**სისსლიანი
ნარსული,
რომლის
დავინყება არ
უეიქლება** 3

აფეთქებები და ხანძარი თბილისის ცენტრში



ილორას მოგვითა საქმის მოკლე ისტორია



**ივანე
ჯავახიშვილი
– ქართველი
ერის
ისტორიკოსი** 9

კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

გაზეთი "ილოხი" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწილებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ჭურდლოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა აღწერილია. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.

ტალღებს მიბარებული სამკაული...

ქართველთა და აფხაზთა ძმობისა და მეგობრობის ისტორია არაერთი დიდი ხანი პიროვნების სახელთანაა დაკავშირებული. მათი საქმეები და ბედი ისე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ ძველია მათი დაშორისობა. წარსულს შეიძლება ზურგი შეაქციო, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ჩვენი მდიდარი წარსული არასოდეს არ ყოფილა და მომავალი თაობა როდისმე აუცილებლად მოგვთხოვს პასუხს წარსულის მდიდარი ფურცლების ცეცხლში შეყრისათვის.

იყო დრო, როცა ქართველები და აფხაზები ერთი სულისკვეთებით არსებობდნენ და მხარს უმჭერდნენ ერთმანეთს. უბრალო ადამიანებისათვის სამაგალითონი იყვნენ სწორედ ქართველი და აფხაზი დიდებულები, რომლებსაც ვერ კი წარმოედგინათ უერთმანეთოდ ყოფნა. დაძმობილება და ფიცგერცხლნაჭამობა არ სჭირდებოდათ, რადგან ისედაც კარგად უწყობდნენ, რომ ერთმანეთის ძმები იყვნენ. მათ შორის არ არსებობდა რაიმე გაუგებრობა, უბრალო, წყევნა, ზურგში დახვრის ნაცემასა და დაღატაკე ხომ საუბარიც კი ზედმეტი იყო...

მაშინ არავის ახსოვდა, ვინ აფხაზი იყო და ვინ ქართველი. იცოდნენ მხოლოდ ის, რომ მათ ისტორიულ ძმობასა და ერთობას სერიოზული მტერი უდრენდა და ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ მათ მძლავრ მეგობრულ-ნათესაურ ურთიერთობებს ის დამღუპველი ზხარი არ გასჩენოდა, რომელშიც მტერი სოლის ნაჭკედებას მოახერხებდა.

ერთმანეთს აღამაზებდნენ ქართველები და აფხაზები, ერთმანეთისადმი მოწიწებისა და პატივისცემის გრძობა ხომ რეფრენად მიეყვებოდა ხოლმე მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე. მათ გვახსოვს, თუ როგორ უნდა მოგვეყრათ ერთმანეთს, მათ გვიხევენ, რომ თუ სული და სხეული ერთმანეთს გაეყრებინა, ერთიც მოკვდება და მეორეც...

სწორედ ასეთ დიდებულთა რიცხვს ეკუთვნის XIX საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში მთელ დასავლეთ საქართველოში სივარჯილთა და პატოსნებით ცნობილი თავადი – გიორგი ბერის ძე ჩიჩუა.

მემკვიდრის მიერ შემონახული უტყუარი ცნობებით დასტურდება, რომ გიორგი გამოკვეთილად კოლორიტული პიროვნება იყო, ქველმოქმედი, არაერთი საზოგადოებისათვის უადრესად სასარგებლო საქმის მოთავე და მონაწილე. "მეგრეთა ზრდილობა ძალიან ნიუანსიანია. ზრდილობა გულისხმობს "ზრდას" და ზრდა "ქცევას" – ქცევა კი თავდაპირველად გიორგი ჩიჩუა ებაასებოდა გლეხს ვითარცა თანასწორს – ამავე დროს გლეხი გრძობდა, რომ მოზაასე თავადი იყო. ასეთი თავდაპირველი ნამდვილი ნიშანწყალი სენიორის, თავადისა..." – ასე იხსენებდა მას დიდი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი გრიგოლ რობაქიძე.

გიორგი ჩიჩუას დიდი ნათესაობა ჰყავდა

აფხაზეთში, დედით იგი ანნაბაძეთა დიდებულ გვარს განეკუთვნებოდა. მისი ძმისშვილებიც აფხაზეთში იყვნენ გათხოვილი.

გიორგი ჩიჩუას ერთადერთი უღამაზესი ასული ნუცა თურმე ერთ აფხაზ ვაჟს – ასტამურ ინალ-იფას პირველი ნახვისთანავე შეუყვარდა და მასთან ერთად ოჯახის შექმნა მტკიცედ გადაწყვიტა. სიყვარულის დასაწყისისთანავე დიდი პრობლემა წარმოიქმნა, რადგან უკვე ასაკოვან გიორგი ჩიჩუას ძალიან ეძიებოდა ერთადერთი ასულის ოჯახიდან გაშვება, სიმარტოვის პერსპექტივა უხრავდა გულს... მაგრამ როცა თავდავიწყებით შეყვარებულმა სასიძომ მამას ქალიშვილის ხელის სათხოვნელად წარჩინებული აფხაზი დიდებულები აღექსანდრე და ივანე შარვაშიძეები აახლა, გიორგი გატყდა, მაგრამ გულისტკენა მაინც არ შეიმჩნია.

– აფხაზ ნათესაობას თუნდაც ჩემი ერთადერთი და უსაყვარლესი ნუცას გულისთვისაც კი ვერ გავანაწყენებო! – ასე უთქვამს მეორე დღეს გიორგის გათხოვილი ნათესავებისთვის, რადგან არავის ეგონა, თუ გიორგი ჩიჩუა ნუცას მამისეული ოჯახიდან წასვლაზე ასე იოლად დათანხმდებოდა.


ნუცასა და ასტამურის ქორწილში, რომელიც სენაკის მაზრის სოფელ უფალკარში რამდენიმე დღე გრძელდებოდა, თანამედროვეთა გადმოცემით თურმე ასი ხარი დაუკლავთ, ქათმებსა და გოჭებს კი თვლა არ ჰქონდათ. პატარძლისათვის, გარეგნულ მშვენიერებასთან ერთად მდიდარი სულითაც რომ გამოირჩეოდა, ნუცას მართლაც ზღაპრული სამკაული მიურთმევიდა.

ლეგენდად შემორჩა ნუცა ჩიჩუასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის უხადოდ შესრულებული ცეკვა "ქართული" და ნუცას ნამდვირი რუსული და ბოშური რომანსები. ერთხელ სოხუმში ნუცასა და ასტამურის მეგობრებს ძალიან მდიდრული სამკაულებით უხვად დამშვენებული უცხოელი სტუმრები სწევიათ. მათ აღმასთა ბრწვინვალებას მასპინძლები დაუთრგუნავს და "საშველად" ნუცასათვის უხმიათ: იქნებ გმწვეოდი და შენი ძვირფასეულობით ამათთვის თვალი მოგატკრაო.

ნუცა მისულა მეგობრებთან, მოდური მანტია მოუხსნია და გულისპირზე გაბრწყინებული გასაოცარი სილამაზის შავი ბრილიანტის ათასფერად სხვიმოკიავე თვალი...

სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელდა ასტამურ ინალ-იფას და ნუცა ჩიჩუას ოჯახური ბედნიერება. ასტამური და ქაქუცა ჩოლოყაშვილი არა მხოლოდ მეგობრები, არამედ შეფიცული თანამებრძოლებიც იყვნენ და საქართველოს 1924 წლის აჯანყება მათი სიცოცხლისეული საქმე გახლდათ. მაგრამ ამბოხებულთა შედარებით მცირერიცხოვანმა რაზმმა ვერ შესძლო გველუშაპის დამარცხება და ისინი ტყვედ ჩაუვარდნენ სისხლისმძებლებს. ასტამური იმავე 1924 წელს გაასამართლეს და საბჭოთა ხელისუფლებამ მას დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი სასწრაფოდ იქნა მოყვანილი სისრულეში ქალაქ ბათუმში. ციხიდან ამბავი გამოიტანეს, რომ ასტამური დაკითხვისას თურმე საშინლად აწამეს, კბილები ჩაულწეს, თითები გადაუმტვრიეს, ტანი ერთიანად დაუსერეს, მაგრამ, თანამებრძოლებზე თურმე ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია.

სამშობლოსათვის შეწირული ვაჟკაცის ნეშტის მშობლიურ ოსამირეში გადმოსვენება იმ მძიმე ვაჟს დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ეს საქმე ასტამურის მეგობრებმა, თავად საბჭოთა ხელისუფლებისაგან დევნილმა, უშიშროებითა და შეუდრეკელობით ცნობილმა გუჯუჯ მარდანიამ, დავით მხეიძემ და ვარლამ ჩიქოვანმა თავიანთი ცხედარი გუშავებისაგან გამოისყიდეს, გააპატროსნენ და ფაქტობრივად უშუალოდ ჩამოასვენეს ოსამირეში. პანაშვიდი შუადამეს გადაუხადეს, როცა უცხო თვალი მათ ვერ დააფიქსირებდა და ასტამურის ნეშტი საგვარეულო ძვალთშესალაგაში დიდი პატივით დასვენეს. ამ



მამა-შვილი გიორგი და ნუცა ჩიჩუები



გიორგი ჩიჩუა ახლობლებთან. სოფელი ბანა, 1910-იანი წლები

რიგად, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ასტამურ ინალ-იფას საფლავის ადგილი უცნობი დარჩა და მისი წაბილწვა ვერავინ მოახერხა.

1924 წლის გვიანი მრუმე შემოდგომა იდგა, შიშით, სიცივითა და შიმშილით დამძიმებული. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ცელმოდერებული სიკვდილი დასერილობდა. სრულიად უდანაშაულო ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ ოდნავი ეჭვის საფუძველზეც კი, ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე. სატანა ზეობდა და ბოროტი ხარხარით ნთქავდა სიცოცხლეს...

საბჭოთა ჩეისტებმა კარგად იცოდნენ, რომ გიორგი ჩიჩუა სრულიად იზიარებდა მისი სიძის პოლიტიკურ მრწამსსა და პატრიოტულ განწყობას. ერთ ავბედით დილას მასაც მიაკითხეს...

ამ დროისათვის გიორგი ჩიჩუა ოჯახიანად იყო გამოსახლებული საგვარეულო სახლიდან და 86 წლის ბერიკაცი დასთან იყო შეხიზნული.

"ადეკი და გამოგვევიო!" – მყოფე ხმით უბრძანა მკერდზე თეთრწვერდაფენილ ახლოვან ვაჟსაც თმაგაბურტყენილმა, ჭუჭყისაგან გაზინთულ ტყავის ქურთუკში გამოწყობილმა სადამსჯელო ჯგუფის უფროსმა. გიორგი წამოიმართა და დინჯად დაიწყო ჩაცმა.

– ინქარე! – დილის სუსხში კვლავ გაისმა თმაგაბურტყენილი მეთაურის ბრძანება, – რაში გჭირდება მავ ჩოხა-ახალუხის მორგება, ისედაც როგორმე მოვახერხებთ თქვენს დახვრეტას!


– ვმაწვილებო, ნამდვილი მამაკაცი სიკვდილსაც ლამაზად და ღირსეულად უნდა შეხედეს! – დამოდვრა გიორგიმ სულთამხუთავეები და ბებრული, აკანკალებული თითებით გააგრძელა ჩოხის დილაილოების შეკვრა.

შორს არ წაუყვანიათ, იქვე, სოფლის ბოლოში დააყენეს საგანგებოდ ამოჩინქნილ, სანახევროდ წყლით სავსე თხრილთან და პაური გააპო თმაგაბურტყენილის ბრძანებამ: "ცეცხლი!"

სოფელმა უწუმრად დაიტირა დიდებული ვაჟკაცი, ეშინოდით ცრემლის გამოჩენისა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებისაგან შერისხულის დარდის მოზიარე გაუსამართლებლად და დანაშაულის დაუმტკიცებლად შეიძლებოდა გამხდარიყო მისი ბედის მოზიარეც...

იმავე წელს, აფხაზეთის იძულებით დეტოვების წინ, მგლოვიარე, უზომოდ დამწუხრებულმა ნუცა ჩიჩუამ ძვირფასი მეუღლის მიერ საქორწინოდ ნაჩუქარი ბრილიანტით დამშვენებული სამკაული შავი ზღვის ტალღებს მიაბარა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ასტამურ ინალ-იფა და ნუცა ჩიჩუა



სოსლოანი ნარსული, როგორც დაპირება არ შეიძლება

სომხეთის მიერ საქართველოს ისტორიული მიწების ოკუპაციას საქართველოს ხელისუფლებამ დიპლომატიური პროტესტი შეაგება, თუმცა ამან შედეგი, რომ ვერ გამოიღო იძულებული გახდა სომხეთის აგრესიისათვის აგრესიითვე ეპასუხა და სომხეთის ჯარი ომამდე პოზიციებამდე დაებრუნებინა. მაგრამ ინგლისის ჩარევით საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ომი შეეწყობინა. უფრო მეტიც ქვეყნისთვის არახელსაყრელ პირობებზე – “ლორეს ნეიტრალურ ზონად” გამოცხადებაზე დათანხმებულიყო.

ლორეს ნეიტრალურ ზონად გამოცხადებაზე თანხმობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იძულებული ნაბიჯი იყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო გარდაუვალი ომის ზღვარზე აღმონდებოდა ინგლის-სომხეთის ერთობლივი ძალების წინააღმდეგ. ამ თანხმობამ კი ერთგვარად შექმნა მშვიდობის ილუზია ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

თუმცა სომხეთს საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა შემდგომშიც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ. სომხეთის დაუხარბებელი პრეტენზიების ნუსხას დღითიდღე ემატებოდა სხვადასხვა ტერიტორიები, რასაც საბოლოოდ ჩიხში შეყვავდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა. ეს სომხეთის მხრიდან გამიზნულად კეთდებოდა რათა საქართველოს არ მისცემოდა ფეხზე წამოდგომა და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესაძლებლობა. რაც ყველაზე მთავარია სომხური მხარის მოქმედებები არასტაბილურ გარემოს ქმნიდა რეგიონში, რის გამოც ფერხდებოდა საქართველოს აღიარება საერთაშორისო არენაზე. ეს ყოველივე კი ხელფეხს უხსნიდა რუსულ იმპერიალიზმს – განეხორციელებინა რეგიონის კვლავ ანექსია.

მაშინ როცა დიდი ძალისხმევით შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ მიაღწია რუსეთის მიერ საქართველოს აღიარებას და 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მთელ რიგ საკითხებზე შეთანხმებას, სომხეთის ხელისუფლება აღნიშნულ ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოვიდა. სომხეთის საგარეო უწყება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ნიხორინისადმი გაგზავნილ რადიოტელეგრამაში გამოხატავდა გაკვირვებას თბილისის გუბერნია და ბათუმის ოლქი, ყველა მაზრებითა და რაიონებით რუსეთმა საქართველოს კუთვნილებად რომ გამოაცხადა. იქვე იყო მინიშნებული, რომ ბორნა-დოს მაზრის ნაწილის (ლორეს ნეიტრალური ზონა) და ახალქალაქის მაზრა წარმოადგენდა საქართველო სომხეთს შორის სადაო ტერიტორიას. ლორეს ნეიტრალური ზონა ნამდვილად წარმოად-

გენდა სადაო ტერიტორიას, თუმცა უსაფუძვლოდ, მხოლოდ სომხური მტაცებელი ბუნებიდან გამომდინარე. რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას ის არცერთ დოკუმენტში არ იყო დაფიქსირებული სადაო ტერიტორიად. ამდენად ეს კიდევ ერთ სომხურ სიცრუეს და მტაცებელ სულის კვეთებას გამოხატავდა. ასევე ბათუმის ოლქისადმი გამოთქმული პრეტენზიები მეტად “დასაბუთებელი” არგუმენტებით იყო გამოაგრებული. მიმართვაში ვკითხულობთ: “ბათუმის ოლქში სომხეთი თხოვლობს თავის დაქაფილებას ჭოროხის რაიონით, რაც მისცემს მას საშუალებას მიიღოს ყარსი-ბათუმის რკინიგზის აშენებით მისთვის სასაცილოდ აუცილებელი ეკონომიკური გასაყვანი ზღვისკენ.” საქმე ის გახლავთ, რომ მანამდე სომხეთი პარიზის (1919წ-1920წ) და სან-რემოს (1920წ) კონფერენციებზე აცხადებდა, რომ ბათუმისა და მისი ოლქი საქართველოსთან მიერთებას იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა თუ მდ. ჭოროხის გაყოფებით ბათუმამდე და ბათუმიდან რიხესკენ სომხეთს რკინიგზის გაყვანის უფლება მიეცემოდა, ასევე როგორც სარკინიგზო დერეფანი, ისე ბათუმის ნავსადგურის გარკვეული ტერიტორია სომხეთის საკუთრებად გამოცხადდებოდა. აქ როგორც ვხედავთ საუბარია, რომ სომხეთი თხოვლობს თავის კეთილდღეობისათვის ზღვაზე გასასვლელს საკუთრებაში, მაგრამ ეს რომ ქართული მიწაა და რატომ ერგებოდა სომხეთს ამაზე არავინ საუბრობს.

საქართველოს ხელისუფლება სიტუაციის დაძაბვას თავს არიდებდა და პრობლემების დიპლომატიური გზით მოგვარებას ცდილობდა. უფრო მეტიც სერიოზულ დამთხოვებზე მიდიოდა. კერძოდ, საქართველო უსიტყვოდ თანხმდებოდა სომხეთს ლორეს გადაცემაზე იმ შემთხვევაში თუკი საერთაშორისო კონფერენციებზე ახალქალაქის მაზრასა და ბათუმის ოლქთან მიმართებაში პრეტენზიებს მოხსნიდა. მაგრამ სომხური მტაცებელი მადის დაკმაყოფილება მხოლოდ ლორეს არ შეეძლო.

სომხეთის რეაქციონერ პოლიტიკოსთა ირაციონალური ქმედებები ერთდროულად საფრთხეს უქმნიდა, როგორც საქართველოს ისე თვით სომხეთის სახელმწიფოებრიობასაც. იმის მაგივრად, რომ სომხეთის აღმშენებლობისთვის, სომხეთის კეთილდღეობისთვის ეფიქრათ და საქართველოს მხარდასმარ ებრძოლათ რუსი და ოსმალი იმპერიალისტების წინააღმდეგ, საქართველოს დაშლა და დამხობა დაისახეს მიზნად. ამან ბუნებრივად მეტად აქტიულები გახდა ქართულ პოლიტიკურ წრეებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩასახლებუ-

ლი სომხების თავიანთ ისტორიულ სამშობლოში გადასახლების საკითხი. ამ მხრივ მეტად რაციონალური და წინასწარმეტყველური განცხადება გააკეთა ქართველი ერის ღირსეულმა შვილმა, მუღამამს საქართველოს კეთილდღეობაზე მოფიქრალმა ბატონმა სპირიდონ კელიამ: “ეს გადასახლება არის ერთადერთი გზა, რომელიც ქართველ-სომხთა უთანხმოების მიზეზს მოსპობს. ეს არის ერთადერთი საშუალება, რომელიც საფუძვლიანად და რადიკალურად გადაჭრის სომხეთის საკითხს და გააქრობს იმ უტოპურ სომხურ იდეას, რომელიც საქართველოს დამხობას და დაშლას ემსახურება. თუ ეს არ იქნება და სომხები, რომლებიც აქ ცხოვრობენ აქვე დარჩნენ სამუდამოდ, მაშინ ყოველთვის მოსალოდნელი იქნება სასაყალ-მასალო მასალის აფეთქება. ერთადერთი გარანტია ჩვენი მთლიანობის დასაცავად ჩვენს შინაურ სიმტკიცეში უნდა ვეძიოთ. შეუძლებელია სომხეთა იდეის და ძაღის გაბათილება საქართველოში თვით სომხების კეთილი ბუნებით მიხედვით. ამიტომ მეუბნები და განუხრებლად შინაური სიმტკიცისთვის უნდა ვიზრუნოთ, გამოუდგებით თვალი და ყური უნდა გვეჭიროს მეტად ფხიზლად, ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ”.

დაიხ! სპირიდონ კელია ჭეშმარიტებას ღიადებდა, რადგან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თუ რა დიდი საფრთხეები შეიძლებოდა დამუქრებოდა საქართველოს სომხეთის მხრიდან მომავალში (მისი ეს წინასწარმეტყველება ახლა კიდევ, რადგან რუსეთმა საქართველოს ანექსიისთვის სომხები გამოიყენა – ლორეს ნეიტრალური ზონაში მოაწყო აჯანყების ინსცენირება სომხების მეშვეობით, რითაც “საბაბი” მიეცა საქართველოს ანექსიის დასაწყობად) და ეს მოთხოვნა ამ საფრთხეების პრევენციას ისახავდა მიზნად. რადგან ის თვითონ იყო იმ პარადოქსული სიტუაციის თვითმხილველი, როდესაც ქართველმა ერმა შეიფარა ათათასობით სომხები ლტოლვილი, მაშინ ტერიტორიების მიტაცების მიზნით თავს დაესხა სომხეთი საქართველოს. რაზედაც სამართლიანად აღნიშნავდა სახელგანთქანი მამულიშვილი შ. ნუცუბიძე: “ის ერი, რომლის მიმართ ქართველ ერს უდიდესი დამსახურება აქვს, რომლისთვისაც ქართველ ერს არ შეუშურდა უკანასკნელი ღუკამა, ის ერი რომლის მიმართ საქართველოს ასეთ ძველსძველ თავაზიანობას, ძველ სთავთმოყვარეობას იჩენდა – ამ ერმა, ან ყოველ შემთხვევაში მისმა გაბატონებულმა ნაწილმა მათმა პოლიტიკოსებმა საესებით დაივიწყა ის ელემენტარული გრძნობა, რომელსაც მადლიერების გრძნობა ეწოდება.”

სომხური მხარის ასეთი ანტიქართული პოლიტიკის შემდეგ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: იყო თუ არა სწორი გადაწყვეტილება სომხები ლტოლვილების ამხელა მასის შემოშვება საქართველოს ტერიტორიაზე? საკამათო თემაა, თუმცა ერთი რამ ცხადია ტოლერანტობა და ჰუმანურობა კარგი საქმეა, მაგრამ სახელმწიფოს განვითარებისთვის და ერის გადარჩენისთვის სხვა ერებისადმი ტოლერანტული პოლიტიკით მოქმედება კი არაა საჭირო, არამედ პრაქტიკული და რაციონალური პოლიტიკის გატარებაა აუცილებელი, სადაც უმთავრესი პრიორიტეტი ეროვნული ინტერესების დაცვა იქნება.

ამრიგად, სომხეთმა რეგიონში საქართველოსთვის და მთლიანად კავკასიისთვის ყველაზე გარდამტეხ მომენტში დესტაბილიზატორის როლი შეასრულა. მან არ მისცა განვითარების საშუალება საქართველოს და ვერც თვითონ მოახერხა განვითარება, რითაც ბუნებრივად ისარგებლეს იმპერიალისტებმა (რუსეთმა და თურქეთმა) და ორივე ქვეყნის ტერიტორია სათავისოდ განიწილეს. ეს იყო შედეგი სომხეთის იმ ირაციონალური პოლიტიკისა, რომელსაც შეეწირა მთელი კავკასია. ისტორიამ არაერთხელ დაგვანახა, რომ როცა კავკასიური ერთობა ირღვევა კავკასიის გარე ძალები ეპატრონდებიან.

P.S. სამწუხაროა, მაგრამ გაუმაძღარი აფთარის რისხვას ისევ ვერ გადაურჩა საქართველო. ისევ ისე როგორც ძველად სწორედ, მაშინ როცა ყველაზე მეტად უჭირდა, როცა აფხაზეთი იკარგებოდა სომხები ჯალათებისგან დაკომპლექსებულმა “პაგრამიანის” სახელობის ბატალიონმა, რომელთა ურჯულობისა და სისასტიკის თვით სისხლისმომღებ მურგან-ყრუსაც შეშურდებოდა, ქართველების სისხლის ზღვა დააყენა აფხაზეთში.

დაიხ! ეს ყოველივე ტრაგედიით აღსავსე საქართველოს ისტორიის ერთი სისხლიანი ფურცელია, წარსულის სვედაა, რომლის არც შეცვალა შეგვიძლია და არც დავიწყება შეიძლება. მაგრამ მივლმა ერმა უნდა ვიზრუნოთ რომ ტრაგედია არ განმეორდეს და საქართველოს მომავლის ისტორია სისხლით არ დაიწეროს. ამიტომ დროა შევასრულოთ სულმნათ სპირიდონ კელიას დანაბარები: “მუდამ შინაური სიმტკიცისთვის უნდა ვიზრუნოთ. მუდამ თვალი გვექონდეს ფხიზლად”. რათა ავისმოსურნე მეზობლების (და არა მარტო) გარემოცვაში შევიწინააღმდეგოთ ეროვნული თავისთავადობა და სახელმწიფოებრივი სიმტკიცე. დროა წარსულის გამოცდილება დღევანდელი სომხებისთვის გახადოს და ისე შევგებოთ მეზობლებს მომავალს.

ზურა ჯამბურია

სამეგრელო დაპირით დადიანის დროს



დედოფალი მარია

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მწერლისა და მეცნიერის ონა მუხრანავას 1939 წელს გამოცემული წიგნიდან “სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი”.

დაპირით დადიანი სამეგრელოს მმართველი. მისი ჯვარისწერა. მთავრობის ბაზაგების ცეკამონია ზუზუბიძე

მაგრამ ეკატერინეზე თვალი ეჭვრა დავით დადიანს და ეკატერინეზე სხვაზე უფრო ეს სამეგრელოს მომავალი მთავარი მოსწონდა, რომლის ხელში იმას “ეკატერინე დედოფლის” ფრიად

საპატიო წოდება მოელოდა. აღსანიშნავია, რომ ეკატერინე ჭაგვაძის შერთვამდე დავით დადიანს ცოლად ჰყოლია სვანეთის (ნუბუხევის თემის) მთავრის ციოე დადეშქელიანის და დარეჯანი, რომელიც 1823 წელს ლევან დადიანს თავისი შვილის დავითისათვის შეურთავს სვანეთის დამოყვრების მიზნით. 12 წლის შემდეგ დავითს მიუტოვებია დარეჯანი, რასაც სვანეთისა და სამეგრელოს სამთავროებს შორის ურთიერთობა მეტად გაუშლავებია. სვანეთის ფაქტიური მმართველი დიგორხანი (მცირეწლოვანი ციოეის დედა) – სვანეთში განთქმული თავისი სისახეთითა და დაუცხრომლობით – ამ საქმის შესახებ მოხსენებით ხლებია მთავარმმართველ ბარონ როზენს (დავითის აღმზრდელს) ტფილისში. ბარონი როზენი აღ. თარხნიშვილის ხელით ლევან დადიანს უგზავნის შემდეგ წერილს: “ჩემთან მოსულმა სვანეთის კნენამ დიგორხანმა მომასხენა, რომ სვანეთის მთავრის ციოეს და, დარეჯანი დანიშნული მყავს ცოლად თქვენს მემკვიდრეს დავითს და 12 წელია, რაც იგი ცხოვრობს თქვენი ბრწყინვალეების

ოჯახში. მას ჩამოუტანია თქვენს ოჯახში დიდი მზითველი. რადგანაც ამჟამად თავად დავითს არა აქვს სურვილი მასთან ცხოვრებისა, სვანეთის კნენა თხოვლობს, რომ დარეჯანი გამოგზავნონ მასთან ტფილისში და თან გამოატანონ მის მიერ თქვენს ოჯახში მიტანილი მთელი მზითველი, რომლის სიასაც ამასთან ერთად გიგზავნით...”

აღნიშნულ წერილს დიდი ახსენა არ სჭირდება. ბარონ როზენს საქმე ასე მოუგვარებია: დადეშქელიანის მოთხოვნის დადიანისაგან დაუკმაყოფილება, ხოლო დავით დადიანის უკვე ყოფილი მეუღლე დარეჯანი მიუთხოვებია კახელ თავად დავით აფხაზისათვის, რომლისთვისაც დაუნიშნავს პენსია წელიწადში 150 ჩერვონცის ოდენობით.

ამრიგად, დავითმა ხელი სთხოვა ეკატერინეს და, რა რომ თანხმობა მიიღო მისგან, აღექანდრე ჭაგვაძემ დადოცა ემაწვილი კაცები და 18 მაისს 1839 წელს, დავითმა და ეკატერინემ ჯვარი დაიწერეს ქაშუეთის ეკლესიაში.


ამასობაში ლევან დადიანის მთავრობაზე უარის თქმა და

შუამდგომლობა, – გარდაეცათ მთავრობა დავითისათვის აღიღოდა მთავარ-მართებლის კანცელარიიდან და ბოლოს მარტში 1840 წელს მოხსენდა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც კეთილ იმედა ლევანის თხოვნაზე გამოეცხადებინა თანხმობა. 25 მარტს, 1840 წელს ჩერნიშევი წერდა მთავარ-მართებელს გოლოვინს:

“ჩემს უკვე შემდგომი მოსხენებაზე იმის შესახებ, რომ სამეგრელოს მართვა-გამგეობის საქმე ჩაბარდეს სამეგრელოს აწინდელ მთავრის შვილს როტმისტრ თავად დავით დადიანს, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ იმედა ებრძანებინა: ნება მიეცეს თავად დადიანს მართოს სამეგრელოს საქმეები, ამასთანავე მასთან დაინიშნოს საჭირო რჩევისა და თვალყურის გდებისათვის კეთილსამიმედო შტაბ-აფიცერი, თანახმად წინადადებისა, რომელიც განმარტებულია თქვენს წერილობით მოხსენებაში ამა წლის იანვრის 16-სა დღესა”.

ამ მოწვევით დადიანს თანახმად კავკასიის მთავარმართებელმა გოლოვინმა მიანდო ქუთაისის გუბერნატორს ესპეხოს წასულიყო ზუგდიდს გამოეცხადებინა სამეგრე-

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ბერიხ XX საუკუნის საუკეთესო გენერალი

თარგმანი როლანდ ჯალალანიასი

შენაერთების (უპირველესად – სასახლერო) ჩამოყალიბება;

ფრონტის ზურგის დაცვის ქვედანაყოფების ფორმირება;

ფრონტის ხაზს მიღმა სადაზვერუო-დოვრისიული მოღვაწეობის ფართოდ გაშლა; ასევე, პარტიზანული შენაერთების ამოქმედება;

ნეკისტური კონტრდაზვერვა (მტრის დაზვერვისათვის ხელის შეშლა, თვით რადიოთამაშების გამოყენებითაც კი), დოვრისიულობის ბრძოლა, სტრატეგიული ობიექტების დაცვა...

და თავისთავად, აქ უკვე ყალიბდებოდა მე-2 ამოცანა – შინსახკომის საგარეო არალეგალური დაზვერვა, რომელიც ასევე ბერიხს ხელში იყო.

გარდა ამისა, სსრკ შინსახკომს დაუბრუნდა სამხედრო კონტრდაზვერვა – განსაკუთრებული განყოფილებები, რომლებიც 1941 წლის თებერვალში გადაცემით თავდაცვის სახალხო კომისარიატს და სამხედრო-სახლგაო ძალებს და იქცნენ ამ უწყებათა მესამე სამმართველოებად. ახლა კი საჭირო იყო მათი გარდაქმნა – ხელდასხვა.

პო, ბოლოში! მე მხედველობიდან გამომრჩა შინსახკომის სამეურნეო საქმიანობა! ისინი ხომ მაშინ ძალიან დიდ ყურადღებას მოითხოვდნენ!

და ეს, ძვირფასო მკითხველო, ეს არ გახლავთ ყველა საკითხი, რაც ბერიხს მხედველობის ქვეშ ექცეოდა მხოლოდ შინსახკომის ხაზით. სხვა იმდენმა გარე საკითხმაც მოიყარა თავი ბერიხს ხელში, რომ ნებისმიერი ადამიანი გაიხილართებოდა პრობლემათა ქსელში, რომ არა...

რომ 42 წლის ლავრენტი ბერია არ ყოფილიყო ნებისმიერი პრობლემის დაძლევისა და აბურღული საკითხების მოგვარების დიდოსტატი.

დავიწყოთ მისი სამხედრო ხაზით გაწეული შრომის განხილვა. მაშ ასე, სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი...

1941 წლის 3 ივლისს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სოფელ უზოვს სანატორიუმში დასასვენებლად მყოფმა აკადემიკოსმა ვერნადსკიმ თავის დღიურში ჩასწერა:

“1941 წლის 1 ივლისს შეიქმნა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, მალენკოვისა და ბერიხს შემადგენლობით. უშუალოდ, რომ ეს გახლავთ სტალინის იდეური დიქტატურა”.

მაგრამ, საქმე გახლავთ არა “იდურო დიქტატურაში” (ვერნადსკი თავის ოცნებებით ხშირად შეაფრინდებოდა ხოლმე ღრუბლებს), არამედ იმის აუცილებლობაში, რომ ეფექტურად, კონკრეტულად ემოქმედათ და ყოველდღიურად ედევნებინათ თვალი ომის მიმდინარეობისათვის, და ყველა იმ დარგების მუშაობისათვის, რომლებიც ფრონტის აღჭურვისა და მომარაგების საქმეებს ემსახურებოდნენ. თანამედროვე ომში კი ზურგს ფრონტზე არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგჯერ კი, ბევრად მეტიც.

ამიტომ, სტალინი აუცილებლად მიიწვევდა გადაენაწილებინა უმაღლესი ხელისუფლება მათ შორის, იმათთვისაც, ვინც სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა, თითოეულისათვის მიეცა კონკრეტული სამუშაო უბანი.

ვის რა უშეძლო სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის პირველ შემადგენლობაში?

კლიმენტი ვოროშილოვი... იგი ცუდი არ იყო იქ, სადაც არ იყო ცუდი. მაგრამ, სამწუხაროდ, სფერო, სადაც მას შეეძლო ემოქმედა, არც თუ ყოველის მომცველი გახლდა. იგი პოლიტიკოსი იყო და სამხედრო საქმეებშიც ერკვეოდა, მაგრამ ბევრის გაქაჩვა ნამდვილად არ ძალუძდა. ასე თუ ისე, ომის დაწყების პირველ დღეებში იგი ფრონტზე იმყოფებოდა და სარდლობდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებასა და ლენინგრადის ფრონტს. მიუხედავად ჩავარდნებისა, მან მაინც ბევრი რამ გააკეთა ამ მიმართულებებით გერმანელთა შეკავებისათვის. მისი უკუკოვით შეცვლა გამართლებული გახლდა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამ დანიშნული უკუკოვაც გაუმართლა ისე, რომ ამ გამართლების თაობაზე არც უკუკომა იცოდა რამე და არც სტალინმა. საქმე იმაშია, რომ უკუკოვის დანიშნულს დაემთხვა ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა – 1941 წლის სექტემბრის დასაწყისში ჰიტლერმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომ შეწყვეტილიყო ლენინგრადის შტურმი და ხანგრძლივად ალყაში მოექციათ საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ დედაქალაქი.

ასეა თუ ისე, ლენინგრადის შემტევ გერმანულ ძალებს ქანცი გაეცალათ მაშინ, როცა ქალაქის დაცვას ვოროშილოვი სარდლობდა. უკუკომა კი საბჭოთა ჯარების ორი თვის თავგანწირული ბრძოლის მოსავალი მოიპოო. მიუხედავად ამისა, ვოროშილოვის სერიოზულად აღთქმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში არ შეიძლებოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ეკონომიკას ეხებოდა.

სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემდეგი წევრი გახლდა სტალინის შემდეგ ქვეყანაში მეორე ადამიანი ვიანესლავ მოლოტოვი. მაგრამ იგი არასოდეს გაძლიერდა სამეურნეო საქმეს – საბჭოთა მას არც საქმიანი თვისებები გააჩნდა, არც სათანადო სპეციალური განათლება და არც გამოცდილება. იგი უპირველესად პოლიტიკური მოღვაწე გახლდა, ამასთან, ტიპური “№2”. იგი სტალინის დროს ძირითადად საგარეო საკითხებს უძღვებოდა. ეს მნიშვნელოვანი ფუნქცია – განსაკუთრებით ომის დროს. მაგრამ, რა ეშველება ეკონომიკას?

კავანოვინმა იცოდა მრეწველობის აკარგი, მაგრამ, ასე ვთქვათ, საერთო-სახალხო გაგებით. ახლა კი საჭირო იყო თავდაჯერებულ ხელს ეხელმძღვანელა იარაღის წარმოებისათვის, რასაც კავანოვინი ნამდვილად ვერ გაართმევდა თავს. რეკომენდებ მალენკოვი და ბერია. ზოგჯერ უცხოეთში მათ მოიხსენიებენ როგორც “ტექნოკრატთა ტანდემს”. მაგრამ, თუ მკაცრი კრიტერიუმებით დავახასიათებთ მალენკოვის პიროვნებას, იგი “მოისმინეს-დაადგინეს” ტიპის კაცი უფრო იყო – აპარატის მუშაკი, ფუნქციონერი. მიუხედავად იმისა, რომ მან დაამთავრა ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი სასწავლებელი, მისი ცხოვრება მიმდინარეობდა კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში და კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. მას ეკონომიკასთანაც პკონდა შეხება, მაგრამ მხოლოდ საშუალო დონის წარმატებებს აღწევდა. კავანოვინი ასე მოიხსენიებდა მას: “უადრესად კულტურული ადამიანი იყო, დიდად ვერ ერკვეოდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში”.

მაშ ვინ ბრწყინავდა ამ თვისებით? რა თქმა უნდა, ბრეჟნევის ეპოქაში საბჭოთა ენციკლოპედიისტიმსაგან ესოდენ “მივიწყებული” სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი ლავრენტი ბერია.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში თავმოყრილი მთელი ეკონომიკის სიმძიმე ლავრენტი ბერიხს დააწვა მხრებზე, რა თქმა უნდა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, უმაღლესი მთავარსარდალ, სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივან, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იოსებ სტალინთან ერთად.

სტალინის დატვირთვას მხოლოდ სტალინი თუ გაუძლებდა. მაგრამ ბერიხს დატვირთვასაც მხოლოდ ბერია თუ გაუძლებდა. და იგი მხოლოდ სტალინის დატვირთვას თუ ჩამოუვარდებოდა, რადგან ბერია დიდი სამამულო ომის მიმდინარეობის პერიოდში იყო “მხოლოდ” სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის

თავმჯდომარის მოადგილე, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ოპერატიული ბიუროს თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი მთავარსარდალის მუდმივი მრჩეველი, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

მოგვიანებით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში წევრებად შეყვანილი მიქოიანი და ვოზნესენსკი გარკვეულწილად შეეხიდნენ ბერიხს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე სფეროში.

რაც შეეხება ნიკიტა ხრუშჩოვს, იგი, ჩვეულებრივ რჩებოდა სტალინის თანამებრძოლად, მთელი ომის განმავლობაში იყო ფრონტების სამხედრო საბჭოს წევრი და იმის მესამე დეტვირთვაც კი არ ჰქონია, რაც გააჩნდა ბერიხს. ტყუილად კი არ მოგვითხრობს უკუკოვი, რომ სამხედრო საბჭოს წევრებიდან ყველაზე მეტად მას ხრუშჩოვთან მიუხაროდა ხოლმე, რადგან ამ უკანასკნელმა მშვენიერი გასტრონომიული დახვედრა იცოდა და მის სუფრას არაფერი აკლდა ხოლმე.

ხრუშჩოვის დაბალ განათლებაზე მის მიერ მოკლე რეზიუმეებში დაშვებული მძიმე გრამატიკული შეცდომებიც მიუთითებენ. ამასვე ამტკიცებდა ხრუშჩოვის მიერ შერისხული “მიტმასნილი” შეპილოვი და სხვა მრავალი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. შეპილოვი ამბობდა: “ხრუშჩოვი იყო ბნელი და გაუნათლებელი პიროვნება, მაგრამ საკმაოდ ცბიერი”. სწორედ ამ თვისებით იკვლევდა გზას ხრუშჩოვი დიდ პოლიტიკაში.

მაშ ასე, ბერიხს ბედის ერთ-ერთი ხაზი გახლავთ მისი საქმიანობა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში. და მის აქ მოღვაწეობას საერთო შეფასება რომ მიეცე, ვისარგებლებ დოკუმენტთა კრებულში “ლავრენტი ბერია. 1937”, რომელიც ფონდმა “დემოკრატიაში” გამოსცა. ეს ყველაზე საიმედო მეთოდია საიმისოდ, რომ ხმა ჩავაწყვიტინო ბერიხს მოძულეებს, რადგან ბერიხსთან დაკავშირებით თავად “დემოკრატები” აღიარებენ:

“სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით ბერიხს დაევალა მკაცრი კონტროლის დაწესება თვითმრინავეებისა და ძრავების წარმოებაზე, სამხედრო-საჰაერო ძალების ფორმირებაზე, გარდა ამისა, ბერიხს ფუნქციებში შედიოდა კომიტეტის დადგენილებების შესრულებათა მიმდინარეობაზე კონტროლი შეიარაღების, ნაღმტყვიანობების, საბრძოლო მასალებისა და ტანკების წარმოებაში. გარდა ამისა, მას დაევალა სამი სახალხო კომისარიატის საქმიანობის კონტროლი: ნათობმრეწველობის, ქვანახშირის წარმოების და სარკინიგზო-სატრანსპორტო მიმოსვლის. 1944 წელს სტალინმა ბერია დანიშნა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და კომიტეტის ოპერატიული ბიუროს თავმჯდომარედ, რომელიც განიხილავდა ყოველგვარ მიმდინარე საკითხს”.

რადაც-რადაცევი ამ ცნობაში მოყვანილი არ არის, მაგრამ ერთიანობაში იგი თვალნათელს ხდის ბერიხს წილ სამხედრო დატვირთვას და მის პასუხისმგებლობას, თუმცა, ხშირად, ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგია უხეშადაა დარღვეული.

ის, თუ რატომ მიანდო სტალინმა ბერიხს საავიაციო საკითხების კურირება, სავსებით გასაგებია: 1939-1941 წლებში ბუტერბროდებს ანდრეი ტუპოლევისათვის ამზადებდნენ სსრკ შინსახკომის ოფიცრები. და ვიდრე არსებობდა შინსახკომის 29-ე სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, ბერიამ ავიაციის საკითხებში გარკვეული გამოცდილება დააგროვა. თუმცა, ითვლებოდა, რომ ავიაციას კურირება მალენკოვი, დიას, ხელმძღვანელობდა, როცა თვითმფრინავების წარმოება, ასე თუ ისე, კალაპოტში ჩადგა, მაგრამ კურირება არც თუ კომპეტენტურად.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იგი ქვეყნის ისტორიიდან აქაც ამოჭრეს. ესე იგი, დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან 40 წლის შემდეგაც კი ამ ეპოპის ამსახველ მოვლენებში ბერიხს სახელის დადებით კონტექსტში მოხსენიება აკრძალული იყო. არაფერია აქ შეცვლილი დღესაც კი, და მე სამარცხვინოდ მიმაჩნია ის ამბავი, რომ 2005 წელს გამოქვეყნდა “ლაღობა-100”-ის მიერ დასტამბულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის ო. ბაკლანოვის კაპიტალურ ნაშრომში “სამამულო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და მისი ისტორიული განვითარება”, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრებს შორის ლავრენტი ბერია საერთოდ არ არის მოხსენიებული.

მაგრამ, ლავრენტი ბერია ხომ დიდი სამამულო ომის დაწყების პირველივე დღიდან...

აქ კი, ძვირფასო მკითხველო, მეც მაგრად ვიბნევი!

დიდ სამამულო ომში ბერიხს მოღვაწეობის მშრალად და ზედაპირულად ასახვასაც კი ერთი სექტლანიანი წიგნი ნამდვილად არ ეყოფა.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ?

თავიდან დავიწყოთ იმით, რომ დიდი სამამულო ომის დასასრულამდე აღენიშნოთ მისი მოვალეობები და მერე, თანმიმდევრულად, თუნდაც მოკლედ მოგიითხროთ მათი აღსრულების თაობაზე?

ან იქნებ აჯობებს, რომ თანმიმდევრულად მოგიითხროთ მისი მოვალეობიდან მოვალეობამდე შესრულებული სამუშაოები და გზადაგზა ვამხილოთ ბერიხს სახელთან დაკავშირებული ყველა მითი?

მოდით, მე, რაღაც შუალედურ ვარიანტს ავირჩევ და ჯერჯერობით გაცნობებთ, რომ სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნისთანავე უმაღლესი მთავარბანაკის 1941 წლის 29 ივნისის №00101 ბრძანების შესაბამისად ბერია შეყვანილ იქნა მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს შემადგენლობაში. ამის წინა, №00100 ბრძანება ავალდებულებდა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლავრენტი ბერიხს, რომ ჩამოყალიბებინა 15 ახალი დივიზია, რომლის თაობაზეც ჩვენ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

1941 წლის 20 ივლისს კვლავ ერთ უწყებად გაერთიანდნენ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი და მას სათავეში ლავრენტი ბერია ჩაუდგა. მოგვიანებით კი იგი უმაღლესი მთავარბანაკის წარმომადგენელი გახდება და დაევალება კავკასიის დაცვის ორგანიზება.

ახლა კი მას, როგორც სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, პკონდა ორი ძირითადი ამოცანა...

- ორი?
- არა, სამი!
- სამი?
- არა, ოთხი!
- ოთხი?
- არა, ხუთი!
- ხუთი?

არა, ხუთი კი არა, ბევრად მეტი! ამასთან, ხაზს ვუსვამ, მხოლოდ როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს!


გაანგრეთ მხოლოდ ზემოდანსხენებ ხუთ ამოცანაზე. ახლა ბერიხს ვვალდებოდა:

შინსახკომის ჯარების ბაზაზე ახალი



ეპრილის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა

გთავაზობთ ნაწევრს აკადემიკოს ანზორ შონიას ამავე სახელწოდების წიგნიდან



დღეს ძნელი სათქმელია, თუ რას ითვალისწინებდა დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს ძირითადი მოსახლეობის საერთო სახელი "მეგრელი" ხელოვნურად მოგონილი ტერმინით "ზანი" შეცვლა, მაგრამ, ვფიქრობ, ამას არავითარი გამართლება არა აქვს, და აირატომ: ეს ერთგვარად შეურაცხყოფას აყენებს მეგრელების ღირსეულ წინაპრებს, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე ამაყად ატარებდნენ მეგრელობის სახელს, და ეჭვქვეშ აყენებს მეგრელების დამსახურებას ერის წინაშე.

ის, რომ ე.წ. "ზანურ" ტომებად ითვლებიან მხოლოდ მეგრელები და ლაზები (ჭანები), აშკარად ლაშქრობის დატვირთვის მატარებელია. ჯერ ერთი, ეს მოსაწავებს იმას, რომ თითქმის მეგრელები და ლაზები დამოუკიდებელი ეთნიკური ჯგუფები არიან, მაშინ, როდესაც ეგრისი და მეგრელები არსებობდნენ უხსოვარი დროიდან (ძველი წელთაღრიცხვის მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნიდან მაინც), ხოლო ლაზიკა და ლაზები ეგრისის სინამდვილეში წარმოჩნდნენ მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. ლაზიკა ეგრისის ერთ-ერთი პროვინცია იყო და ლაზები მეგრელების ტერიტორიული ჯგუფი, როგორც ეს სწორია დიდ "ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში". უფრო სწორად, ეგრისის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოში – ლაზიკაში მცხოვრები

მეგრელები ოდითგან იწოდებიან პირობითად ლაზებად...

ასევე არასწორად მიმანია მეგრული ენისათვის ე.წ. "ზანური" ენის დარქმევა, ვინაიდან ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობდა და ვარაუდი, თითქმის შესაძლებელი იყო მეგრულ-ლაზურ ენებს საერთო სახელად "ზანური" ენა რქმეოდა, ვფიქრობ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია; მით უმეტეს, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები იხიარებენ იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შორეულ წარსულში (დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულამდე) არსებობდა ენა, რომელიც დაიშალა ქართულ-მეგრულ-სვანურ ენებად, ხოლო ეგრისის სამეფოს ლაზიკის საერისთავო წარმოჩინდა ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში და აქ მცხოვრებ მეგრელებს ეწოდათ ლაზური ტერიტორიული ჯგუფი, რომლებიც, ბუნებრივია, მეტყველებდნენ მეგრულად. როდესაც ეგრისის სამეფოს ბიზანტიელებმა ლაზიკას სამეფო დარქვეს და მკვიდრ მოსახლე მეგრელებს – ლაზები, ბუნებრივია, მეგრულ ენასაც ლაზური ენა უწოდეს; მაგრამ ეს იყო ბიზანტიელთათვის, თორემ ქართველი მოღვაწეებისათვის დასავლეთ საქართველოს ძირითად ენად თითქმის XII-XIII საუკუნეებამდე მუდამ მეგრული ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, ეგრისის სამეფოს ლაზიკის სამეფოდ მოიხსენიებდნენ თუ აფხაზთა სამეფოდ.

ამდენად, ვფიქრობ, ყოველად გაუმართლებელია მეგრელებისა და ლაზურის (ჭანურის) ე.წ. "ზანური" ენის დიალექტებად მიხსნევა, ვინაიდან არსებობდა მხოლოდ მეგრული ენა და თითქმის გამორიცხვად, ლაზების – როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლების – ენა მეგრული ენის დიალექტიც კი ყოფილიყო; ის მეგრული ენის ისეთივე კილოკავი იყო, როგორც ზუგდიდურ-სამურზაყანოული და სენაკურ-მარტვილური კილოკავები არიან.

დასაშვებია, რომ ეს ყოველივე არ სცოდნოდით ქართული ის-

ტორიის პატრიარქებს? თუ არ მივიღებთ მხედველობაში სულკურთხეულ პაულე ინგოროფას, ისინი თავს იკავებდნენ ასეთი აზრის გამოთქმისაგან. ეტყობა, იძულებული იყვნენ ანგარიში დაეწათ გ. ყორანაშვილის მენტალიტეტის მქონე მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისათვის, რომლებსთვისაც კატეგორიულად მიუღებელი იყო იმის გაცნობიერება, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს მოსახლეები ძირითადად მეგრელები იყვნენ და სწორედ მათი წინაპრების დამსახურებაა კოლხეთის ძველი დიდება, ვინაიდან ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა მთელ რიგ დოკუმებს, რომლებიც დაკანონებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში...

მართლაც, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთსა და აფხაზეთზე, რომელთა ვინაობა ისტორიული გაუგებრობის შედეგად სადავო გახდა, როდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ერთმნიშვნელოვანი აზრი მეცნიერებს არც მარგველებზე და არც ლაზებზე არ გააჩნიათ.

დადგენილია, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში წარმოჩნდა მარგვეთის საერისთავო (დ. არგვეთი), რომელიც მოიცავდა დაახლოებით იმ ტერიტორიას, სადაც დღეს იმერეთია, ქალაქ ქუთაისის, სამტრედიისა და ხონის რაიონების გამოკლებით. დასახელებას "მარგვეთს" უკავშირდებიან ტერმინ "მარგალს". ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მარგვეთი საერთოდ ნახსენები არ არის, არც მარგველებზე რამე ცნობა.

მართალია, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის ნარკვევში "მარგვეთი" სწერია, რომ ქართულ მწერლობაში ის "მარგვეთად" არის ცნობილი, რაც, ვფიქრობ, პირიქით უნდა იყოს, ვინაიდან სწორედ მარგვეთის საერისთავო ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ეგრისის სამეფოში (VIII-XI საუკუნეები); მეტიც, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ეპოქაში (VIII-X საუკუნეები) მარგვეთის მფლობელი ლაზი დიდებულები – ბაღვაშები დიდი გავლენით სარგე-

ბლობდნენ მეფის კარზე. შესაძლებელია, ბაღვაშები ყოფილიყვნენ ქართველი ლეგენდარული ეროვნული გმირები დავითი და კონსტანტინე.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მიერ ქართლის შემოერთების (IX საუკუნე) შემდგომში ბაღვაშები გვევლინებიან ეგრის-აფხაზეთის მეფის ერთგულად ქართლში, სადაც სამფლობელოდ გადაეცათ კლდეკარის ძლიერი საერისთავო, ორბეთი, სკვირეთი და ატენი. ბაღვაშები ისე გაძლიერდნენ, რომ აშკარად ეურებოდნენ ერთიან საქართველოს შეფუძვლას; მათ გარკვეული პრეტენზიები გაუჩნდათ საქართველოს მეფობაზე, მხოლოდ დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა მათი საკითხი.

მარგვეთის მკვიდრი მოსახლეობა მეგრული იყო, უფრო სწორად, მარგვეთში მცხოვრები მეგრელები პირობითად იწოდებოდნენ მარგველებად. საქართველოში მარგვეთის ეპოქაში (1249-1329 წლები) მარგვეთი ბაგრატიონების დომენი გახდა, ხოლო იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბების შემდგომ (XV საუკუნე) მარგვეთის საერისთავო მის შემადგენლობაში დარჩა.

მარგვეთში მცხოვრები მეგრელები ქართულენოვანი გახდნენ და დღეს სრულიად კანონზომიერად იმერლებად იწოდებიან, რაც ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბების თანამდევ დადებითი მოვლენაა. მთავარია, რომ მარგვეთი ქართულ სივრცეში დარჩა და ამას არ სივრცით მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ხალხმა იცოდეს, რა იყო და როგორ იყო, რომ არ იქვედეს დაბნეულობას, თუ რატომ ცხოვრობენ იმერეთში მეგრული გვარის ადამიანები, მაშინ, როდესაც სწორედ ისინი არიან აქაური აბორიგენები.

გაცილებით რთულადია საქმე ლაზებისა (ჭანების) და აფხაზეთის საკითხში, ვინაიდან გარკვეული სიტუაციებიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ დადგა მათი ტექსტობა ქართველობა.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ეგრისის სამხრეთ ნაწილში, მდინარე რიონის ქვემო დინებიდან მცირე აზიის ჩრდილო ნაწილის ჩათვლით,

დღევანდელი გურიის, აჭარის, საჯავახო-საჩინოს და ლაზისტანის ტერიტორიაზე, წარმოჩნდნენ ეგრისის სამეფოს პროვინციები ჭანეთი და ლაზეთი, შესაბამისად, ჭანები და ლაზები. დროთა განმავლობაში ლაზიკისა და ლაზის მცნებაში მოიაზრებოდა ჭანეთიც და ჭანიც, ლაზები ქართველთა (მეგრელები) ტერიტორიული ჯგუფი იყო, უფრო სწორად, ლაზიკაში მცხოვრები მეგრელები პირობითად იწოდებოდნენ ლაზებად. ბუნებრივია, ლაზები მეგრულად მეტყველებდნენ.

მართალია, მეცნიერები ვარაუდობენ, თითქმის ლაზები მეტყველებდნენ ე.წ. ზანური ენის (მეგრულ-ჭანური) დიალექტზე, მაგრამ, ვფიქრობ, რადგანაც ე.წ. ზანური ენა არ არსებობდა და იგი მოგონილი ტერმინია, ლაზებს უნდა ემეტყველათ მეგრული ენის ლაზურ კილოკავზე.

ის, რომ დღეს გარკვეული განსხვავება შეიმჩნევა სამეგრელოს მეგრულსა და ლაზისტანის მეგრულს შორის, ვფიქრობ, გამოწვეულია ლაზების მოწყვეტილ მშობლიური სივრციდან, თუმცა მათ მაინც შეინარჩუნეს ენა და მთელი რიგი ქართული ადათ-წესები, მიუხედავად ლაზების მეგრულზე თურქული ენის გავლენისა და მათ ეროვნულ თვითშეგნებაზე თურქული იდუალოგის წნეხისა, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია. ყოველ შემთხვევაში, თუ გარკვეული ეჭვები არსებობს – აფხაზეთის წინაპრები ადგილობრივი ქართველები (მეგრელები) არიან თუ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული ადიღურ-ჩერქეზული მოდემის ხალხი, ასეთი რამ ლაზებზე არ თქმულა – ისინი წარმოჩნდნენ ქართულ სივრცეში, უფრო სწორად, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ეგრისის სამხრეთ ნაწილში, მდინარე რიონის ქვემო დინებიდან მცირე აზიის ჩრდილო ნაწილის ჩათვლით,

ანზორ შონია "ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აფეთქებები და ხანძარი თბილისის ცენტრში

27 ნოემბრის ღამეს თბილისის ცენტრში ორი მძლავრი აფეთქება გაისმა. პირველი აფეთქება ადგილობრივი დროით 01.35 საათზე ქალქის ცენტრში - ივანე ჯავახიშვილის ქ № 88-ში მოხდა, სადაც განთავსებულია ორი ერთმანეთის მომიჯნავე და საერთო, გამყოფი კედლის მქონე - „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ და სერგო ზაქარაიძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯის შენობები.

ასაფეთქებელი ნივთიერება კოლეჯის ნახევრად სარდაფის ტიპის სართულის ფანჯარაში შეაგდეს, სადაც დებარდებოდა გარდერობი და ინახებოდა საცეკვაო კოსტიუმები. როგორც შემთხვევის ადგილიდან საქინფორმის კორესპონდენტი იტყობინება, აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მიმდებარე საცხოვრებელი სახლების ფანჯრები ჩარჩოიანად ჩაამსხვრია, კედლები დაიზარა და დაზიანდა, ხოლო მინის ნამსხვრევები კედლებსა და

ხეებს შეესო და მიმდებარე მოქალაქეთა ბინებში ჭურვის ნამსხვრევები შეევიდა. ერთ-ერთი ასეთი ნამსხვრევით გულში სასიკვდილოდ დაიჭრა მოპირდაპირე მხარეს მცხოვრები ლეიბორისტული პარტიის წევრი, 58 წლის ნინო გორდეზიანი, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში მიყვანისათვის გარდაიცვალა. ჩუღურეთის რაიონში მომხდარმა აფეთქებამ გააღვიძა საბურთალოს, ნამალადევის, მთაწმინდისა და დიდუბის რაიონის მცხოვრებლებიც, რადგან ის პრაქტიკულად მთელ ქალაქში ისმოდა. ხალხი ტელევიზორებსა და რადიომიმღებებს მივიცვდა და ერთმანეთთან რეკვა დაიწყო - იშვა ვერსიები, რომ აფეთქება რომელიმე გახსადენის ჰესზე მოხდა და ის ჩამოვარდნილი თვითმფრინავის აფეთქებამ, ანდა მიწისძვრის შედეგად ჩამონგრეულმა კორპუსმა გამოიწვია. ადგილზე ოპერატიულად გამოცხადებულმა პოლიციის პატრულისა და

კრიმინალისტა ჯგუფების ეკიპაჟებმა შემთვევის ადგილი შემოლობეს და მთელი ღამე აუცილებელ სამუშაოებს ატარებდნენ, რის შემდეგაც, დილისთვის, ალყა მოხსნეს. შემთხვევის მომენტში ლეიბორისტების ოფისში არავინ იყო დაცვის გარდა, რომელმაც მაშინვე შეატყობინა პარტიის თავმჯდომარეს მომხდარის შესახებ. დილისთვის იქ ცენტრალური ოფისის თანამშრომლებიც მივიდნენ, რომლებიც მომხდარს ლეიბორისტული პარტიის წინააღმდეგ მიმართულ დაშინების აქტად აფასებენ. ქუჩა მოფენილია მინის ნამსხვრევებით და იქ უკვე მივიდნენ ქალაქის შესაბამისი სამსახურები, რათა ტერიტორიის დროული დასუფთავება უზრუნველყოფილიყო. პოლიციელები კომენტარისგან თავს იკავებენ და ჯერჯერობით არ იციან, ასაფეთქებელი ნივთიერება თვითნაკეთი იყო თუ საბრძოლო ყუმბარა. შეგახსენებთ, რომ შორიახლო, რამდენიმე ათეულ მეტრში - უძველესი

მართლმადიდებლური ტაძარი მდებარეობს (თბილისში იმ ორი ტაძრიდან ერთი, სადაც ღვთისმსახურება რუსულ ენაზე აღესრულებოდა) - წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესია, სადაც დიდიდან, ჩვეულებრივ, საკვირაო ლიტურგია დაიწყო. მეორე, არანაკლებ მძლავრი აფეთქება, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ადგილობრივი დროით 02.30 საათზე გაისმა თბილისის გარეუბანში - მუხიანში. შეგახსენებთ, რომ ეს, შედარებით ახალი, მჭიდროდ დასახლებული რაიონი ტიპიურ თანამედროვე, პირველ სართულზე მაღაზიებიან კორპუსთა კომპლექსს წარმოადგენს. ზომი ერთ-ერთ ასეთ მაღაზიაში დადეს (ანდა შეაგდეს). მსხვერპლი და განსაკუთრებული ნგრევა აქ არ ყოფილა. ჩაიმსხვრა მინები, ხოლო წინასწარი მონაცემებით, კორპუსთა ბეტონის კედლები არ დაზიანებულა. თუმცაღა, მაღაზიაში ყველაფერი განადგურებულია - საქონელიც, ავეჯიც და ტიხრებიც.



შუშის ნამსხვრევებით 58 წლის ნინო გორდეზიანი, გარდაიცვალა.



საქინფორმი



ილოხი

გთავაზობთ წერილს, რომელიც დოკუმენტურად აჩვენებს საქართველოში ესოდენ მოძალადე ბული იელოვების რწმენის ვიდეო-მასონურ საფუძვლებს, რაც მოწოდებული მართლმადიდებლური რელიგიური მრწამსის შესარყევად. ერთ-ერთ უწინადად დაბეჭდილი ეს წერილი მოგვაწოდა ბატონმა ზაზარ ბახარაძემ, რისთვისაც რედაქცია დიდ მადლობას მოახსენებს მას.

“იელოვას მოწმეთა” სექტის დამარსებლის ჩარლზ ტეი რასელის ცხოვრების ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ საქმე გვაქვს ურწმუნო კაცთან. მთელი მისი ცხოვრება არის თავმოყვარეობის, ამპარტყევისა და ეგოიზმის ნახატი, რამაც იგი მიიყვანა მოციქულთა და წმინდა მამათა რწმენის უარყოფამდე. ამის შედეგად რასელმა თავად წამოაყენა წმინდა წერილის თვითნებური განმარტება, სადაც, თითქოსდა მის მიერ, ღვთის შემეცნების შესახებ სწავლება სრულად და დამთავრებულია არის წარმოჩენილი.

რასელი 1852 წელს დაიბადა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პიტსბურგში. მას დიდი განათლება არ მიუღია, რადგან 11 წლისამ სკოლა მიატოვა და მამასთან ერთად მეწარმეობა, მზა ტანსაცმლის ვაჭრობა დაიწყო. რასელმა უკვე 16 წლისამ დააარსა სავაჭრო სახლი მთელი ქსელი და მოკლე დროში მოუყარა თავის სიმდიდრეს, რომელიც 250.000 დოლარად შეფასდა. მან მალე დააარსა საბანკო წარმოება და მისი კაპიტალი 350.000 დოლარამდე გაიზარდა. პარალელურად ის რწმენის საკითხებით იყო დაკავებული და ამიტომ მის პირველ მიმდევრებს სწამდათ, რომ ღმერთი არის კომერსანტი რასელის ტიპისა და ამბობდნენ: **“ღმერთი არის უდიდესი კომერსანტი და ჩვენი მამა რასელი კი ფლობს ისეთსავე უნარს, უფრო დიდი მნიშვნელობით”**-ო.

სინამდვილეში კი, როგორც თავად რასელი აღიარებდა, იგი გახდა სკეპტიკოსი (ობიექტური სინამდვილის უარყოფელი, ე.ი. თითქმის უღმერთო). შემდეგ იგი დაინტერესდა აზიურ ადმინისტრაციებით, რითაც კიდევ უფრო დიდ ცთომილებაში ჩავარდა. მომდევნო ხანებში რასელი მცირე ხნით დაუკავშირდა ჯერ **“პრესვიტერიანელების”**, შემდეგ კი **“კონგრეგაციონალისტებისა”** და ბოლოს **“მეშვიდე დღის ადვენტისტების”** ფსევდოქრისტიანულ სექტებს. **“მეშვიდე დღის ადვენტისტებთან”** იგი გაეცნო ქრისტეს ათასწლოვანი მეუფების შესახებ სწავლებას, რომლითაც მოხიბლდა და დაიწყო ამ სექტის მოძღვრების ქადაგება. მაგრამ მას ქრისტეს მეორედ მოსვლის თარიღთან დაკავშირებით აქაც საკმაოდ დიდი უთანხმოება მოუვიდა; საბოლოოდ ჩარლზ რასელმა გაწვევით ურთიერთობა სექტის ხელმძღვანელობასთან იმ მოტივით, თითქოს **“მანამდე წმინდა წერილის სწორად გაგება და ასხნა არავის შეეძლო და ეს დიდი საიდუმლოება ღმერთმა მხოლოდ მას, ერთადერთს გაანდო და ხალხთან ჭეშმარიტების საქადაგებლად მოუწოდა”**. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით იმავეს ქადაგებდა ახალი რწმუნის, ახალი სწავლების შემომდგომი ყველა ერეტოკოსი, რომელიც თავის თავს ღვთის წინასწარმეტყველად წარმოაჩენდა (ასეთები იყვნენ გნოსტიკოსები, არიოზი, მუჰამედი და სხვა მრავალი).

1879 წელს ჩარლზ რასელმა დააარსა უწინააღმდეგო **“სიონის საგუშაგო კოშკისა და ქრისტეს დასწრების მაცნე”**. შემდეგში ამ უწინააღმდეგო **“გუშაგის კოშკი”**, ხოლო 1966 წლიდან – **“საგუშაგო კოშკი”**. 1882 წელს ჩამოყალიბებული **“საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ბროშურების სიონის-**

ტური საზოგადოება” იყო დღევანდელი **“იელოვას მოწმეთა”** უშუალო წინამორბედი. ჩარლზ რასელმა თავისი მოძღვრების ძირითადი დებულებები ჩამოაყალიბა **“წმინდა წერილის გამოკვლევის”** შვიდ ტომში, რომელსაც იგი თვით ბიბლიაზე მაღლა აყენებდა. რასელი ამტკიცებდა, რომ ეს სწავლება თითქოს **“ღვთისაგან სულიწმინდის შთაგონებით”** მიიღო და იგი აუცილებელია ყველა მორწმუნისათვის, რათა სწორად გაიგონ ბიბლია (მე-7 ტომი **Studies in Scriptures**, 1918). რასელი თავის მიმდევრებს აწინებდა, რომ თუ რომელიმე მათგანი შეწყვეტდა მისი განმარტებების კითხვას და უშუალოდ ბიბლიის შესწავლას დაიწებდა, აუცილებლად უმეცრების წყაღებაში მოექცეოდა და, პირიქით, თუკი აღამიანს ერთხელაც არ ექნებოდა წაკითხული ბიბლია და მხოლოდ მისი სწავლებით იხელმძღვანელებდა, **“მარადიული სინათლის”** თანახმად გახდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რასელი ასწავლიდა, თითქოს მანამდე კაცობრიობამ არ იცოდა ჭეშმარიტება, ღმერთმა იგი გამოარჩია სხვათაგან, რათა ახლებურად განემარტა ბიბლია; სულიერად იგი სხვებთან შედარებით თითქოს იმდენად აღმატებული იყო, რომ მას ღმერთი პირადადაც კი ესაუბრებოდა. **“ჭეშმარიტება, რომელსაც მე თქვენ გაუწევებთ, როგორც მოქადაგე – წერდა იგი, – არ ყოფილა მიღებული გამოცხადებით ან სიზმრებით, არამედ ღმერთის ხმით იქნა აღმოჩენილი, რომელიც მოვისმინე”**.

რასელის ამ მტკიცებების მიუხედავად, მისი სწავლება არა მარტო დღევანდელი ბრუკლინელი **“ღვთისმეტყველების”**, არამედ თვით მისი უშუალო მემკვიდრეების (ი. რუტერფორდი, ნ. კნორი) მოძღვრებისაგანაც ძირფესვიანად განსხვავდება. როგორც რასელი, ასევე მისი ყოველი მემკვიდრე სექტას მართავდა აბსოლუტური ძალაუფლებით, რითაც მას თავიანთი პირადული აზროვნების კვალი დაამჩნიეს და მემკვიდრეებს ბიბლიის თავისებური განმარტებანი დაუტოვეს. ამიტომ სექტის პრეზიდენტთა რაოდენობის შესაბამისად, **“იელოვას მოწმეთა”** საზოგადოების განვითარების ოთხი პერიოდი შეიმჩნევა:

- ადინშნული სექტის დამაარსებლის რასელის პერიოდი (1872-1916 წლები);
- იოსებ რუტერფორდის პერიოდი (1916-1942 წლები);
- ნათან კნორის პერიოდი (1942-1977 წლები);
- ფრედერიკ ფრენცის პერიოდი (1977-1992 წლები);

“იელოვას მოწმეები” ამბობენ, რომ თვით ღმერთმა მათი მოძღვრების ავტორი. მაშინ ჩვენ, თუ მოცემულ ოთხ პერიოდში მათი სწავლების განვითარებას მივადევნებთ თვალს, აუცილებლად შეგაჩნევთ, რომ სექტის ყოველ პრეზიდენტს ბიბლია ერთმანეთისგან განსხვავებულად, თავისებურად ესმდა და ხშირად მომდევნო პრეზიდენტის განმარტებანი წინა პრეზიდენტისას ეწინააღმდეგებოდა. უკვე ეს ფაქტი მოწმობს აბსურდულობას იელოველთა მტკიცებისას, თითქოს ღმერთი თვით თავის თავს ეწინააღმდეგებოდა. აქედან გამომდინარე, მათი საზოგადოება იმართება არა ღმერთის მიერ, არამედ ინდივიდუალურად, შემცდარი ადამიანების მიერ.

რასელმა არაფერი იცოდა ღმერთის **“სახელის”** – იელოვას შესახებ, რომელიც მხოლოდ 1925 წლის წინასწარმეტყველების ჩაშლის შემდეგ გაჩნდა. უწინააღმდეგო **“საგუშაგო კოშკი”** წერს: **“1926 წლის 1 იანვრიდან ჩვენი ძირითადი დანიშნულებაა მსოფლიოს წარუდგინოს ბიბლიის**

ღმერთის სახელი “იელოვა” (№5, 1978 წ. უკრ. ენაზე). ხშირად ისინი საკუთარ თავს ეწინააღმდეგებიან: **“არ არის გადამწვევები, როგორ გამოვთქვამთ ღმერთის სახელს (წიგნი “ჭეშმარიტება, რომელიც სამუდამო ცხოვრებაში მიგვიყვანს”), ბიბლიის ღმერთი უსახელაო”** (უკრ. **“საგუშაგო კოშკი”**, №13, 1972 წელი).

რასელს მიაჩნდა, რომ **“მე ღვთისა გაერულ იქნა ჯვარზე”** (**“შექმნის ფოტოდრამა”**, 1914 წელი, გვ. 57), ამიტომ ჯვარს თავიანთ უწინააღმდეგო გამოსახვედრად, მაგრამ უკვე მომდევნო პრეზიდენტი ი. რუტერფორდი წიგნში – **“ნუგეშისცემა ადამიანებისათვის”** – წერს: **“ჯვარი – ეს სატანის მაცდური მზაკვრობაა”**.

ჩარლზ რასელის აზრით 6.000 წელი ქვეყნის შექმნიდან 1872 წელს გავიდა, ხოლო თანამედროვე **“ღვთისმეტყველთა”** გამოთვლებით – 1975 წელს.

რასელიცა და მოღვაწეობის დასაწყისში რუტერფორდიც დარწმუნებით აცხადებდნენ, რომ აღდგომა ყველასათვის იქნება. **“ბიბლია აცხადებს აღდგომას ყველა ადამიანისათვის”** (ჩარლზ რასელი, **“საგუშაგოების დგოვებრივი გეგმა”**); რუტერფორდი: **“მალე ყველა მეგდარი გაცოცხლდება, მიუხედავად მათი წარსული საქმიანობისა და სარწმუნოებისა”** (**“მილიონები, რომლებიც ახლა ცხოვრობენ, არასოდეს მოკვდებიან”**). მაგრამ ბრუკლინელმა **“თეოლოგებმა”** უკვე 1936 წლიდან ახალი სწავლება შემოიღეს. მაგალითად, იგივე ი. რუტერფორდი წიგნში **“დაცვა”** (1936) წერს: **“ვისაც იელოვა გაანადგურებს, უკვე არასოდეს აღსდგება ხელახლა”**. და კიდევ: **“ისინი სიცოცხლის უდირსნი არიან, იმიტომ არ აღდგებიან”** (**“დაკარგულიდან დაბრუნებულ სამოთხემდე”**). უწინააღმდეგო **“საგუშაგო კოშკი”** წერს: **“ჩარლზ რასელი იყო ურყევად ერთგული ღვთის მიმართ, ურყევად ერთგული იესო ქრისტეს მიმართ, ურყევად ერთგული მესიანური სამეფოს საქმიანობის მიმართ, ის იყო ურყევად ერთგული ყოველ წგრილმანში – დიას, ის ურყევად ერთგული იყო თვით სიკვდილამდე”** (**“საგუშაგო კოშკი”** 1.04.1996; გვ.9). მაშ საოცარია მათი ქმედებანი. თუკი მათი დამარსებელი და ფუძემდებელი – რასელი მართლაც ერთგული იყო ღვთის სწავლებისა და მხოლოდ მისეული განმარტებებია ღვთისუფლები და ჭეშმარიტი, მაშ რატომღა შეცვალეს იგი მისმა მიმდევრებმა? ასე რომ, **“იელოვას მოწმეთა”** თანამედროვე სწავლებას საერთო არაფერი აქვს ერთი საუკუნის წინ რასელის მიერ ჩამოყალიბებულ მოძღვრებასთან. მათ ხომ თითქმის ყველა გარკვეულ სარწმუნოებრივ საკითხში ბევრჯერ შეიტანეს რადიკალური ცვლილებანი? ამ კითხვაზე პასუხს მათივე უწინააღმდეგო **“გუშაგის კოშკი”** (1957 წ. №8) იძლევა: **“ორგანიზაცია მისდევს იმ შეხედულებებს, რომლებიც შემდეგში შეიძლება შეიცვალოს”**, **“არცერთი სხვა ორგანიზაცია არ იჩენს ისეთ მოქნილობას, რომ შეცვალოს თავიანთი შეხედულებები და ნაბიჯი აუწყოს ცვალებად დროს”** – მიუთითებს **“საგუშაგო კოშკის”** 1977 წლის აგვისტოს ნომერი (გვ. 19).

ამ მოყვანილი ციტატებიდან, თუ მოისურვებენ, სექტის რიგით წევრებს მრავალსიმეტყველი დასკვნის გაკეთება შეუძლიათ. განა შეიძლება ისეთი მოსაზრების დაჯერება, ცხოვრებაში გატარება და მისთვის თანაგანწირობა, რომელიც შემდეგ სისულელედ გამოცხადდება?! განა შეიძლება, ჭეშმარიტება, რომელიც მარადიულია, იცვლებოდეს?! **(დასასრული შემდეგ ნომერში)**

რეპეტიტორები დღგ-ს 20%-იან შემოსევას

ბადასახალით დაიბეჭდებიან!
საქართველოს პარლამენტმა ახალი კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც ე.წ. რეპეტიტორები დღგ-ს გადასახადით 20%-ით დაიბეჭდებიან. როგორც საქინფორმს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განუცხადეს, დღგ-ს გადახდა არ მოუწევთ იმ პედაგოგებს, რომელთა წლიური შემოსავალი 30 ათასს არ აღემატება. რეპეტიტორი ლეილა ადუაშვილი კი თვლის, რომ აღნიშნული კანონის მიღება ბიზნესინტერესებს ემსახურება. **„მე ვამზადებ ბავშვებს და ვხედავ, რამდენად რთულია იმ Tanxidan გადასახადის გადახდა, რასაც მიხდის. ამას რომ დაემატება კიდევ დღგ, მათი მდგომარეობა უმძიმესი იქნება. მიმაჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება იმ მოსამზადებელი სკოლებითაა განპირობებული, რომლებიც განათლების სამინისტრომ გახსნა. ამ სკოლებში ბავშვები რეპეტიტორებთან ემზადებიან და შედარებით ნაკლებს იხდიან. ამით ეს სკოლები კერძო რეპეტიტორებს „წართმევენ“ ბავშვებს,”** - აცხადებს ლეილა ადუაშვილი.

მემაწვინებლად დააჯარიმებენ!

სულ მალე მემაწვინებლად დააჯარიმებენ. ის ადამიანები, ვინც ლუკმაპურისთვის კარდაკარ სიარულით მწვანის, ლობიოს, მაწონსა და რძეს დაატარებენ, რაც თბილისში ოდითგან დამკვიდრებული ტრადიციაა და ქალაქის კოლორიტის განუყოფელი ნაწილი, იმ შემთხვევაში



დაჯარიმდებიან, თუ პარლამენტი მთავრობას დაეთანხმება. პარლამენტში განიხილება კანონპროექტი, რომლითაც იკრძალება საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველების, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების გადაზიდვა ვეტერინარული მოწმობების გარეშე. ასეთი დანაშაულისთვის 1500-ლარიანი ჯარიმა განსაზღვრული. მემაწვინეები შიშობენ, რომ თუ პარლამენტი ამ ცვლილებებს მიიღებს, ქუჩაში, შესაძლოა, მემაწვინე გააჩერონ და დააჯარიმონ. მემაწვინეები კი ასეთ ჯარიმას ვერ გადაიხდიან, რადგან მათ ამის საშუალება არ აქვთ. ჯერჯერობით, გაურკვეველია, რა სახით და როდის მიიღებს პარლამენტი კანონპროექტს და შეექმნება თუ არა პრობლემები მემაწვინეებს? საპარლამენტო ოპოზიცია კი მთავრობას გლეხური მეურნეობისადმი ფრთხილ მიდგომას ურჩევს.

ბათუმის უნივერსიტეტსა და ეკლესიას დანგრევა ემუქრება

როგორც საქინფორმის ბათუმის კორესპონდენტმა გვაცნობა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბარბარეს ეკლესიის დანგრევის შესახებ განცხადება დღეს შოთა რუსთაველის ბიუსტთან შეკრებილმა აჭარის „მამულიშვილთა საგვარეულო კავშირისა“ და „სახალხო კრების“ წარმომადგენლებმა გააკეთეს. **„მამულიშვილთა კავშირის“** თავმჯდომარე ნიაზ ბოლქვაძის განცხადებით, საუბარი რუსთაველის ქუჩაზე ყინულის სახლიდან დელფინარიუმამდე ყველა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე მიმდინარეობს. მისი ვერსიით, ამის მიზეზი ქალაქში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაა. **„სახალხო კრების“** წარმომადგენლის, ზაურ სოლომონიძის თქმით, რუსთაველის ბიუსტის პედესტალი მოპირკეთებული არ არის და ამით მისი ღირსება ილახება. ნიაზ ბოლქვაძე და ზაურ სოლომონიძე არსებული ვითარებიდან გამოსავალს ანტიეროვნული ხელისუფლების შეცვლაში ხედავენ. აჭარის ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის უფროსი აბესალომ გურგენიძე აცხადებს, რომ ბარბარეს ეკლესიისა და უნივერსიტეტის დემონტაჟის საკითხი აჭარის მთავრობაში არ განიხილება და რომ ეს არასწორი ინფორმაციაა..

როგორ გასხვიდა

აფხაზეთი...

გთავაზობთ ნაწვევებს ნაპო მესხიას ამავე სახელწოდების წიგნიდან

ბევრ ანალოგიურ შემთხვევაში პქონია ადგილი ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში. იყო ასეთი შემთხვევა: ბიჭუნის გზაზე, ავტოავარიის შედეგად ამოწვდა თითქმის მთელი ოჯახი – ოჯახის მამა, დედა და მისი დები. მათგან ერთ-ერთი პაციენტი – ოჯახის დედა გულაუთის მორგში აღმოვაჩინე უგონო მდგომარეობაში მყოფი. ის გარდაცვლილი ეკონათ. სასწრაფო რეანიმაციული ღონისძიებების შედეგად დასტაბილურდა მისი სასიცოცხლო ფუნქციები, მაგრამ კვლავ უგონო მდგომარეობაში რჩებოდა. პაციენტი სასწრაფოდ გადმოვიყვანე ნეიროქირურგიულ განყოფილებაში. ოპერაციული ჩარევისა და ხანგრძლივი ინტენსიური თერაპიის შემდეგ იგი სიკვდილს გადაურჩა და დაუბრუნდა თავის პატარებს.

ასეთი და მსგავსი შემთხვევების შემდეგ ხალხში იქმნებოდა ერთგვარი ლეგენდები და ყოველივე ეს საზოგადოებაში წარმოშობდა გარკვეულ დადებით აურას, ამიტომ აფხაზეთთან ურთიერთობა ჩემთვის პრობლემატური არ იყო.

ყოველი ასეთი შემთხვევა სათანადოდ ფასდებოდა, არც ერთი მათგანი შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო აფხაზეთს. ნეიროქირურგიული სამსახური თანდათანობით ყალიბდებოდა და ფუნქსიონალურად, რასაც აფხაზეთის მთავრობაც და საზოგადოებაც უკვე სულ სხვა თვალთ შეხედებდა. მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება ჩემსა და, საერთოდ, ნეიროქირურგიის მიმართ. უკვე ყოველგვარ დახმარებას მიწევდნენ.

მასხვედრა გულაუთელი ვანია ხინტუბას ქველმოქმედება. ის უკვე ჭარმაგი კაცი იყო და ახლო ურთიერთობები ჰქონდა პარტიის რაიონებისა და საოლქო კომიტეტის მესვეურებთან, კერძოდ, ბორის ადლებასთან. ამ დროს ის ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო ტრესტის მმართველი გახლდა. მას რამდენიმეჯერ დასჭირდა ნეიროქირურგიული მომსახურება და ყველა ქირურგიული ჩარევა წარ-

მატებული აღმოჩნდა – არაერთი მისი ნათესავი და მეგობარი გამოვტაცეთ სიკვდილს. პასუხად მან, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად, მშენებარე ნეიროქირურგიული ცენტრისათვის უსასყიდლოდ გადმოგვცა იმ დროისათვის ძალზე დეფიციტური და ძვირადღირებული სამშენებლო მასალა: სანტექნიკის ორმოცდაათამდე ჩუხური გარნიტური, 1.000 კვადრატული მეტრი ინგლისური კაფელი, ამდენივე მუხის რუმირული პარკეტი და სხვა. ეს იყო არაოფიციალური, პირადი “პრეზენტი”. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ნეიროქირურგიულ ცენტრს მოხმარდა, რითაც იგი უფრო დამშვენდა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დახმარება იყო.

მთავარი მაინც სულ სხვა რამ გახლდა: ვანია ხინტუბა გვენდობოდა და ცდილობდა, რომ აფხაზეთის ნეიროქირურგიული სამსახური მაღალი დონის ყოფილიყო. **“Это, ведь, ты не только делаешь, а ты помогаешь?” Это нужно всем, это всех касается и все обязаны тебе помогать!** – მეუბნებოდა **“დიადია ვანია”**, როგორც მას უმრავლესობა მოიხსენიებდა აფხაზეთში.

არ შემიძლია არ გავიხსენო მეორე, ასევე აფხაზის საქციელი. ეს **თენგიზ სიბა** გახლდათ. ერთხელ მოვიდა ჩემთან, მომესალმა და მოკლე საუბრის შემდეგ ჯიბეში ჩამიყო ხელი და მითხრა: **“Ты делаешь всеобщее дело, у тебя большие расходы, поэтому и решился я на это. Не обижайся и не отказывай мне в этом!”** შევეწინააღმდეგე, მაგრამ ამაოდ! როცა წავიდა, აღმოვაჩინე, რომ შემოუწირავს 1.000 მანეთი. ეს მოსკოვში ჩემი მორიგი გამგზავრების წინ ხდებოდა და აღნიშნული თანხა ძალიან გამომაღდა. სწორედ მაშინ გადაწყვედა ჩვენთვის საქართველოში პირველი კომპიუტერისა და რეანომობილის გამოყოფის საკითხი.

აფხაზეთში ძალიან ბევრი მეგობარი და გულშემოტივიარი მყავდა. ხშირად მსმენია, ზურგს უკან ჩემს პროფესიონალიზმზე – იმასაც ამბობდნენ, რომ ზედმეტად ვქმობავო აფხაზეთს და ა.შ.

ნურას უკაცრავად! მე პრინციპულ საკითხებში ერთხელაც

არ დამითმია ქართული პოზიცია. მე უბრალოდ ვერკვევი ფერებში და ვხედავ საკუთარ და სხვის ძლიერ და სუსტ მხარეებსაც. თუ აფხაზეთის მიმართ მეტად ლოიალურობაში მდებენ ბრალს, ეს ჩვენს მიერ გაუმართლებლად გადადგმული ნაბიჯებით, მათი მცირერიცხოვნობითა და მათზე გადახდარი ხიბნელებით იყო განპირობებული. კიდევ ერთი, აფხაზთა წეს-ჩვეულებების გავლენის ქვეშ ვარ გაზრდილი და ყოველთვის მხიბლავდა მათი უფროს-უმცროსობის კულტი, განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა, მოწიწება უფროსებისა და ქალების მიმართ.

ხშირად მეკითხებოდნენ ხოლმე ქართველი მეგობრები, ვისაც გაუგია, მაგრამ არ იცნობდა აფხაზურ მენტალიტეტს: ნაპო, მაინც რა გიხიბლავს, რა მოგწონს, რა განსხვავებაა ჩვენსა და მათ შორის? ერთხელ დაუფიქრებლად, რაღაც სპონტანურად ვთქვი: იცით რა? აი, ვართ ზურგაზე, აფხაზი წამოდგება და ისე დავისხამს ღვირსო. სამეგრელოში – დავისხამენ, ხოლო სხვაგან კი უფრო... **“გაუმარჯოს პაეღესა, დაისხამს და დაღესა”**... მოკვდნენ სიცილით, მაგრამ ამაში რაღაც სიმართლის მარცვალი არის.

როგორც ხედავთ, ყურადღებას ვამახვილებ საზოგადოების აფხაზურ ნაწილზე, მათ წარმომადგენლებზე და, გასაკვირი მიზეზის გამო, ნაკლებად ვამბობ სხვებზე. ასეთი იყო ჩემი საქმიანი და პირადი ურთიერთობა საზოგადოების წარმომადგენლებთან, მუშაობის სტილი და ზრუნვის საგანი. ამით ვიყავი გართული და პირადი ცხოვრებისათვის დრო ნაკლებად მრჩებოდა.

ასეთ დროს ქვეყანაში იწყება რთული პროცესები, ე.წ. გარდაქმნა, ეროვნულ-განმანათლებლებული მოძრაობა, ამ ფონზე საზოგადოების ეთნიკური ნიშნით პოლარიზაცია და საერთო დესტაბილიზაცია. საზოგადოების აფხაზური ნაწილი მოითხოვდა საქართველოსგან გამოყოფას და ცალკე დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაფუძნებას.

ამაზე უკვე ითქვა და აქ მეტად არ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ნეიროქირურგიულმა ცენტრმა ამ ვითარებაში ძალიან

დიდი და პოზიტიური როლი შეასრულა. ჩვენს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს ქართულ-აფხაზური საზოგადოების ორივე ნაწილში სწორად აღიქვამდნენ და დადებითად აფასებდნენ. მიუხედავად ამისა, მე არც მაშინ და არც მერე, ახრად არ მომსვლია, რომ დეპუტატი გავხდებოდი.

პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ მქონია, თუმცა...

აფხაზეთში 1989 წლის ივლისის პირველი სისხლიანი შეტაკების დღეებში, ჩემთან კლინიკაში მოვიდა ჩემი დიდი მეგობარი, ცნობილი პოეტი **ჯანო ჯანელიძე** და მთხოვა მოსკოვში გამგზავრება.

იმ დღეებში მოსკოვში უნდა შემდგარიყო აფხაზეთის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებული ბრიფინგი და გადაეწყვიტათ, ამ ბრიფინგზე სხვებთან ერთად ჩემი მივლინებაც.

ამ ღონისძიებაში ჩემი მონაწილეობა ალბათ იმით იყო მოტივირებული, რომ მე ვიყავი იმ დღეებში აფხაზი მედიკოსების მიერ ჩადენილი მიუღებელი ქმედებების თვითმხილველი: ისინი ეთნიკური ნიშნის მიხედვით არჩევდნენ დაჭრილებს და არ ღებულობდნენ ქართველ პაციენტებს – მათ აგზავნიდნენ ჩვენთან, ნეიროქირურგიულ ცენტრში...

...ჩვენ კი ვემსახურებოდით ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და მრწამსისა, არაერთ აფხაზს გაუწიეთ სამედიცინო დახმარება იმ დღეებში. აბა, სხვანაირად როგორ შეგვეძლო! მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს კოლექტივშიც მოხდა მსგავსი შემთხვევა...

...ასე გაიყო იმ დღეებში აფხაზეთის სამედიცინო საზოგადოება ეროვნული ნიშნით, რაც უპრეცედენტო იყო. ამასთან, ამას მეტად დამაფიქრებელი და უხერხული პოლიტიკური ელფერი გადაჰკრავდა. ალბათ, სწორედ ამ გარემოებამ გადაწყვიტა მოსკოვში ბრიფინგზე ჩემი მივლინება... შემდგომ იყო ომი!

ნეიროქირურგიული კლინიკა, ისევე როგორც აფხ. რესპუბლიკური საავადმყოფო, ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებოდა. გუმისთას ჩვენ გვაშორებდა რაღაც 700-800 მეტრი და სნაიპერს ნებისმიერ დროს შეეძლო მიზანში ჩვენი ამოღება, მაგრამ არ შეგვეშინებია, როცა მოწინააღ-

მდევე ასე მოგვიახლოვდა...

...ბევრჯერ შემოგვთავაზეს, დაგვეტოვებინა ნეიროქირურგიული ცენტრი და გადავსულიყავით აგუქერის პოს-პიტალში, მაგრამ ვერ ვკვლავი ჩემს პირმშოს, თანაც ისე მივეჩვიეთ ტურვების ავტოქების ხმას და ავტომობილის კაკანს, რომ არც კი ვაქცევდით ყურადღებას. როგორ მოვიფიქრებდით, რომ დაგვადლატიანებდნენ და ასე უბრძოლველად დატოვებდნენ ქალაქს...

ასეთ პირობებში ნეიროქირურგიული ცენტრის თანამშრომლების თაგანწირვა ნამდვილი გმირობის ტოლფასი იყო.

ვინც გარბოდა და სამსახურს, მეგობრებს ტოვებდა, ის იყო **“გამირი”**. მათ სამშვიდობოზე, ენ-გულირ გაღმა გორგასლის რომელიმე ხარისხის ორდენი ელოდებოდათ. მედიკოსთა შორისაც იყვნენ ასეთები, რომლებმაც საკაცეთი დერეფანში მოგვიგდეს დაჭრილები და გაიქცნენ, თავს სირბილით უშველეს, თუმცა ეს დაუფლადო კიდევც მათ. აფხაზეთის ჯანდაცვის მაშინდელი მინისტრის, ქალბატონ **მერი ჯანგველაძის** წარდგინებით, გორგასლის ორდენებს გამოჰკრეს ხელი. მეტად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია!

...ქალბატონ მინისტრს მე სულ ბოლოს გავახსენდი და წარმადგინა სამხედრო ჯილდოზე ჩემი თანამშრომლების გარეშე (ისეთი ხალხის გვერდით, რომელთა შორის ყოფნა, ცოტა არ იყოს, საწითორო და არასასიამოვნო იყო ჩემთვის). ამიტომ, **და უფრო იმის გამო, რომ ჩემთან არ იყვნენ ჩემი თანამშრომლები, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის ფონზე, მე არ შემეძლო მიმელო სახელმწიფო ჯილდო სამარცხელო ომის სამარცხელოდ წახების ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის ხელიდან – ედუარდ შევარდნაძისაგან.**

დაიხ, მე არ მივიღე ეს სახელმწიფო ჯილდო, ისევე, როგორც არ მივიღე მოგვიანებით მისგან **“ღირსების ორდენი”**! აფხაზეთის მედიკოსებიდან სამხედრო ორდენი არ მიიღო ასევე აფხაზეთში ცნობილმა ქირურგმა, ჩემმა დიდმა მეგობარმა ანტონ ბაგათელიამ. სხვა შემთხვევას მე ვერ ვიხსენებ!



ზუგდიდში “წარმომადგენლობითი სახალხო კრების” ოფისი დაკეტილია

“წარმომადგენლობითი სახალხო კრების” სამეგრელო-ზემო სვანეთის ოფისი, რომელიც ზუგდიდის ცენტრშია განთავსებული, რამდენიმე დღეა, დაკეტილია. ოფისმა 10 ნოემბრამდე, სახალხო კრების ზუგდიდში ჩატარებამდე, 3-4 დღე იმუშავა და მას მერე მისი კარი არ გაღებულა. **„დემოკრატიული მოძრაობის“**

ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის - პაატა დანელიას განმარტებით, ის არანაირ მონაწილეობას არ იღებს **“სახალხო კრების”** საქმიანობაში, ხოლო ისინი, ვინც ამით არიან დაკავებულნი ზუგდიდში, თურმე თბილისში იმყოფებიან და, როდის დაბრუნდებიან ზუგდიდში, გაურკვეველია, ასევე, გაურკვეველია, ვინ ხელმძღვანელობს ამ ოფისს ზუგდიდში. 25 ნოემბრამდე ერთი კვირალა დარჩა, ზუგდიდში კი არავითარი მზადება არ იგრძნობა ამ პროცესისათვის.

ზუგდიდელი მოსწავლეები სასწავლებლად კერძო სკოლებში გადადიან

ბოლო ხანს ზუგდიდის საჯარო სკოლებიდან მოსწავლეები კერძო სკოლებში გადადიან. ამის მიზეზი საჯარო სკოლებში ჩამოყვანილი სახელგატეხილი ინგლისურის მასწავლებლებისა და მანდატურების არსებობაა, რომლებსაც კერძო სკოლებში.

ჯერჯერობით არ თუ ვერ შეუღწევიათ. მშობლებს ურჩევნიათ, მოამზონ შვილები ფლეთერისნაირ გარყვნილ ე. წ. მასწავლებლებს და ასევე მანდატურების უხემ მოპყრობასაც. იმის გამო, რომ კერძო სკოლები ზუგდიდში არც ისე ბევრია, ყველა მსურველის კერძო სკოლებში გადასვლა არ ხერხდება.

ხელისუფლებამ ბიუჯეტის შევსების ახალ ფორმას მიაგნო

პარტიის **„ჩვენ თვითონ“** ინფორმაციით, **„ხელისუფლებამ ბიუჯეტის შევსების ახალ ფორმას მიაგნო და საგადასახადო სამსახურებმა მორიგ სამიზნედ ე. წ. რეპეტიტორები ამოიღეს“**. პარტიაში აცხადებენ, რომ დღის წესრიგში პედაგოგების ინდემწარმეებად დარეგისტრირების და მათთვის სამშრომლო გადასახადის დაკისრების საკითხი დგას. **„მედაგოგებს, რომელთაც აქამდე**

მცირე ხელფასის გამო ოჯახების სარჩენად დამატებითი შემოსავლის წყაროზე ფიქრი უწყვედათ, ახლა კიდევ ერთი პრობლემა შეექმნათ: მათ საკულთარი, ისევე მცირე შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტს უნდა გაუყონ,“ - ნათქვამია **„ჩვენ თვითონის“** განცხადებაში.

საკავშილი - სომხეთის პრეზიდენტი?!

სტატუსს ამ სათაურით სომხური სააგენტო **„ლრაგირ.ამ“** აქვეყნებს. ყურნალისტი ნაირა აირუმინი აღნიშნავს, რომ საქართველოდან ჩამოსული თანამემამულეები საქართველოს წარმატებებზე მას მუდმივად უყვებიან; რომ მისი ნაცნობი მომავალ არჩევნებზე ყველა კანდიდატის გადახაზვას და იქ სააკაშვილის გვირის მითითებას აპირებს, რათა სომხეთშიც ისევე შეიცვალოს სიტუაცია, როგორც საქართველოში. განსაკუთრებულ ყურადღებას აიღებინა ახალი ავტობანის მშენებლობაზე

ამახვილებს. მისივე თქმით, კავშირ **„ჯავახკის“** ხელმძღვანელი შირაკ ტოროსიანი კვლავც ამტკიცებს, რომ ჯავახეთში ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციული პოლიტიკა ტარდება, მაგრამ ამ მოსაზრებას რეგიონის მცხოვრებნი არ ეთანხმებიან. სტატუსის ბოლოს ავტორი დასძენს, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის დისტანცია ხელოვნურად იქმნება. **„დროა, სომხებმა ცივი გონებით შეხედონ საკულთარ ინტერესებს, თავი გაანებონ შიდა პროპაგანდის მოსმენას, რომელიც ქართველებს მტრებად „ნათლავს“**,- ნათქვამია სომხური სააგენტოს მიერ გავრცელებულ სტატიაში.



ივანე ჯავახიშვილი – ქართველ ერის ისტორია

ადრინჯულ წიგნში დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის, სულმნათი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს გაუწყობთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა. ამ უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "იღობის" მკითხველს.

მაგრამ მთელი თავისი ძალმომრეობა და ანგარება იოანე ციციამ შემდეგ სამარცხვინო საქციელით გამოიხინა. დასავლეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს აღდგომისკენ ამ დროს ორი მთავარი გზა ჰქონდა: ერთი იყო სამხრეთისა და სომხეთის ქალაქ დვინზე მიდიოდა; აქ თავს იყრიდნენ მრავალი ვაჭრები და თავიანთი საქონელი ინდოეთსა, სპარსეთსა, ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოდან მოჰქონდათ ხოლმე გასაყიდავად (იბ. II, თ. 25 – დესტუნისის II, გვ. 181-182), მეორე, და მთელ საქართველოსათვის უმთავრესი, სავაჭრო გზა დასავლეთისა და შავი ზღვის ნაპირას მდებარე ნავთსადგურებისაკენ მიდიოდა და იქ მოჰქონდათ უცხოეთიდან, განსაკუთრებით ბიზანტიიდან, სავაჭრო საქონელი და იქვე ყიდულობდნენ ბიზანტიელი ვაჭრები ადგილობრივი ნაწარმებისა და საქონელს. იოანე ციციამ მთელი შავი ზღვის ნავთსადგურების აღდგომისკენ მიმართული თავის ხელში ჩაიგდო: არც ბიზანტიელ ვაჭრებს, არც ადგილობრივ მკვიდრთ იგი ერთმანეთისაგან საქონლის ყიდვა-გაყიდვის ნებას არ აძლევდა და მხოლოდ თითონ ყიდულობდა ყვლაფერს; შემდეგ-კი, როგორც იმისი ნება იყო, იმ ფასად ჰყიდდა; ამ გვარად იგი მთელ აღდგომის სრულ ბატონად გადაიქცა, მთელი ქვეყანა ქონებრივ-ეკონომიკურად თავის კლანტებში ჩაიგდო, და მხოლოდ თავის ჯიბეებს ისკვებდა (პროკოფი კესარიელი, De dello persio II, თ. 15 – დესტუნისის II, გვ. 109 და 112).

ასეთი უსვინდისო საქციელი და ხალხის ყვლევა სწორედ უმაგალითო იყო; მეფე გუბაზი და მისი ქვეშემდგომები მოთმინებიდან გამოვიდნენ და ბიზანტიელების წინააღმდეგ ამბოხის მხადებას შეუდგნენ: სპარსეთის მეფეს ხოსროს მოსალაპარაკებლად საიდუმლო კაცები მიუგზავნეს. ხოსრო მეფემ ლაზების მოციქულები მიიღო და მათი სიტყვა მოისმინა. კოლხები და სპარსელები იმ თავითვე მოკავშირეები იყვნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ ხოლმე, სოქვეს ეხლებოდა, ამას მოწმობენ მრავალი ნაწერი ნაშრომები, რომელიც ჩვენმა გვაქვს და თქვენ სასახლემოც ინახება. მაგრამ შემდეგ ჩვენმა წინაპრებმა, – იმიტომ, რომ თქვენ ყურს არ უგდებდით, ან, სხვა რაიმე მიზეზთა გამო, ჩვენ ნამდვილად არაფრის თქმა არ შეგვიძლიან, – რომაელებს შეგვირჩენ კავშირით. ესეა ჩვენ და ლაზიკის მეფე ქვეყნითურთ გვემობითო. შემდეგ, მოციქულებმა აუწყრეს სპარსეთის მეფეს, რანაირად შეაფორრეს, შეაწუხეს ლაზიკის მეფე და ხალხი ბიზანტიის კეისრის სარდლებმა, და არწმუნებდნენ, რაკი ჩვენი ერთ ბიზანტიელსაც ასე გულმოსულია, შეგიძლიათ მიენდოთ მას და დარწმუნებული იყვნეთ, რომ ისინი თქვენი ერთგული მოყმეები იქნებიანო.

თითონ თქვენ დიდ სარგებლობას ნახეთ, თუ ლაზების თხოვნას აასრულებთ, იმიტომ, რომ ამგვარად სპარსეთს უშუქველეს სახელმწიფოს შეუერთებთ და ამით თქვენს უფლებას მეტი ფასი დაედება. ამასთანავე ჩვენი ქვეყნის საშუალებით თქვენ შეგეძლებათ რომაელების ზღვამდე მიადწიოთ და თუ რომ ზღვაზე ხომალდებს ააგებთ, მაშინ თუ გინდათ თვით ბიზანტიის კეისრის სასახლემოც მიხვალთ; მაშინ თქვენ ნებაზე იქნება დამოკიდებული და, როცა მოინდომებთ, იმიერკავკასიიდან ველურ ხალხებს ბიზანტიის სამფლობელოს მიუწყევით, სოქვეს მიგზავნილმა კაცებმა (პროკოფი კესარიელი, De dello persio II, თ. 15 – დესტუნისის II, გვ. 110 და 113).

სპარსეთის მეფეს ეს, რასაკვირველია, ძალიან მოეწონა და ჭკუაში მოუვიდა; დაპირდა მოციქულებს, მფარველობას გაეწევითო. დესპანებმა აღუთქვეს, გზების ფიქრი ნუ გაქვს, შენს ჯარს გზებს ჩვენ გაუკეთებთ და გავუკვდევითო. მეფემ სოხოვა ელჩებს, რომ სპარსელების დახმარების ამბავი ჯერ არ გაემქვდავნიანო; თითონდაც რომ ლაშქრის შეგროვებას შეუდგა, განგებ ხმებს ავრცელებდა, იბერიაში მივიდვარ, იქაური საქმეები უნდა განვაგალო (იბ. II, თ. 15 –

დესტუნისის II, გვ. 114). 524 წელს, როცა ხოსრო მეფე ომისათვის უკვე მზად იყო, დიდძალი ჯარით ჯერ იბერიაში შევიდა და მერე იქიდან ლაზიკაში გადავიდა. ლაზების მოციქულები წინ მიუძღოდნენ. სპარსელები ჰკაფადნენ დიდრონ ხეებსა და ამგვარად გზას იკეობდნენ. ქვეყნის შუაგულს რომ მიადგა ლაშქარმა, ხოსრო მეფეს მოეგება ლაზიკის მეფე გუბაზი, მიესალმა თავის მხრივ და მთელი თავისი სამეფოს მაგიერადც ყმობა აღუთქვა (იბ. II, თ. 17 – დესტუნისის II, გვ. 117-119).

თუმცა ქალაქ პეტრას გარემოცვაზე ხოსრო მეფემ დიდი ზარალი ნახა და ბევრი მეომარი დაეხოცა, მაგრამ ქალაქი მაინც აიღო. მას შემდეგ, რაც ბიზანტიელების სარდალი იოანე ციცი ჭრილობისაგან გარდაიცვალა, ციხის მცველები სასოწარკვეთილებაში ჩავეივნენ. გათამამებულმა სპარსელებმა კი ციხის ზღუდეს ქვეშ თხრილი გაუკეთეს. მაშინ ბიზანტიელებმა შიშით ციხის დათმობაზე მოლაპარაკება ჩამოაგდეს, და როცა სპარსეთის მეფე დაპირდა, თქვენა და თქვენს ქონებას ხელს არ გახლებო, ქალაქი დაუყოვნებლივ ხოსროს გადასცეს. სპარსეთის მეფემ მართლაც მხოლოდ იოანე ცივის დიდძალი ქონება ჩაიგდო ხელში, სხვას-კი არც თითონ შეხებია, არც თავისი ლაშქრისთვის მიუცია ნება (იბ. II, თ. 25 – დესტუნისის II, გვ. 119-122).

ხოსრო მეფე გახარებული იყო, რომ ლაზიკა ხელში ჩაიგდო; იმ სარგებლობისა და უპირატესობის გარდა, რომელსაც მას ლაზების მოციქულები უქადდნენ, მას კარგად ესმოდა, რომ ამიერითგან იბერიას ამოსვლის ატეხვა გაუწინდებოდა, დასავლეთის სურვი გამაგრებული აღარ ექნებოდა და ლაზიკა ქართველ მეამბოხეთ თავშესაფრად ვეღარ გამოადგებოდათ. ამ გარემოებას კი სპარსელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ ქართველები სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ უკამოყვებლობას არც-კი მალავდნენ, და ცხადად ეტყობოდათ, რომ ოღონდ კი მოხერხებული შემთხვევა ყოფილიყო და აჯანყებით მაშინვე აჯანყდებოდნენ (იბ. II, თ. 28 – დესტუნისის II, გვ. 208-209).

მაგრამ ხოსრო არც დასავლეთ საქართველოს უყურებდა ნდობის თვალთ: ლაზების ერთგულებისა მას არა სწამდა-არა; მალე ლაზებმაც გული აიყარეს სპარსელებზე; მათ ეგონათ, რომ სპარსელების ბატონობა ლაზიკისათვის უკეთესი იქნებოდა; მაგრამ სპარსელების მიერ ქრისტიანობის დევნამ და ლაზიკის ბიზანტიაზე მოწყვეტამ, რომელთაც იგი მკვიდროდ იყო დაკავშირებული, ხალხს თვალა აუხილა და დაანახვა, რომ პოლიტიკურმა ცვლილებამ მას აღებ-მიცვლების უმთავრესი წყარო დაუწყვიტა და სარგებლობის მაგიერ ზიანს უქადდა. ცოტა ხნის შემდეგ ლაზები დარწმუნდნენ, რომ პოლიტიკურადაც სპარსელების მთავრობა ბიზანტიის მთავრობაზე გაცილებით უფრო მკაცრი და მეტადარი იყო. რაკი ხოსრო მეფე ლაზებს არ ენდობოდა, მან გადასწყვიტა დასავლეთ საქართველოს საქმეები იმთავითვე ასე მოეწყო, რომ ხალხს აჯანყება ვეღარც-კი მოეხერხებინა; ამიტომ მან, პროკოფი კესარიელის სიტყვით, გადასწყვიტა ლაზიკის მეფე გუბაზი მოეკვლევიანებინა, ლაზიკიდან ყველა მცხოვრებლები სპარსეთში გადაესახლებინა, ხოლო მათ მაგიერ ლაზიკაში სპარსელები და სხვა ტომის ხალხი დაებინავეთინა (იბ. II, თ. 28 – დესტუნისის II, გვ. 209-1210).

ჯერ, რასაკვირველია, მეფითგან უნდა დაეწყო. ამ ვერაგ განზრახვის განხორციელება ხოსრომ ვიდაც ფაერიზს მიანდო და თან 300 გულადი მეომარიც გააყოლა; გუბაზი მას ისე უნდა მოეკლა, რომ მკვლელის ვინაობა ვერაფერს ვეცოდო (იბ. II, თ. 29 – დესტუნისის II, გვ. 215-217).

როცა ფაერიზი ლაზიკაში მოვიდა, მოიხიო ვიდაც ფარსანსი (ფარსმანი?), რომელსაც გუბაზი გაჯავრებოდა იყო და სასახლემო არ უშეებდა; მას უფნად, რომ ამ შთქმულების აღსრულებაში ეს გუბაზის უმადური კაცი დაეხმარებოდა და ამიტომ დაეკითხა, მინდობილ საქმის განხორციელება როგორ უფრო ემჯობინებაო. ამ კაცმა ურჩია, პეტრასში წაიღო და იქ მიიწვია მეფე გუბაზი, ვითომცდა საქმეებზე მოსალაპარაკებლად; მაგრამ გუბაზსაც მაშინვე შეატყობინა, გაფრთხილდი, სპარსეთის მეფისგან მოგზავნილ კაცს შენი მოკვლა სწადიანო. აღშოთუებული მეფე გუბაზი ამიტომ არამც თუ პეტრასში არ მივიდა, პირიქით გადასწყვიტა სპარსეთის ბატონობა უარყო და ისევ ბიზანტიელებს მიჰმხრობოდა. ამისთვის მან იუსტინიანე კეისარს მოციქულები მიუგზავნა,

ჩვენი დანაშაული დაივიწყე და ისევ თქვენს მხარეზე გადმოვალთ, ოღონდ სპარსეთის განდევნაში მოგვეხმარეთო. ეს რომ კეისარმა გაიგო, ძალიან იამა და მაშინვე დაგისთვის მეთაურობით 7.000 ჯარისკაცი და 1.000 ჭანი ლაზებს მეშველად გაუგზავნა. როცა ფაერიზმა დაინახა, რომ ვერც მონდობილი საქმე აასრულა და ქ. პეტრასაც უშეკვლად ლაზები გარშემოერტყებოდნენ, აიყარა თავისი 300 კაცით და სპარსეთში დაბრუნდა (იბ. II, თ. 29 – დესტუნისის II, გვ. 218-220).


მოუვიდათ თუ არა ლაზებს ბიზანტიელებისა და ჭანების მეშველი ჯარი, მაშინვე ქალაქ პეტრას გარშემოერტყნენ. სპარსელი ციხისმცველები გულადად დაუხვდნენ შეერთებულს მტრის ძალას და რაკი სურსათიც ბლომად ჰქონდათ, კარგა ხანს მაგრად იყვნენ. ხოსრო მეფემ რომ დასავლეთ საქართველოს აჯანყების ამბავი შეიტყო, ძალიან შეწუხდა, და მერმეოვს მეთაურობით საჩქაროდ ძლიერი მხედარი და ქვეითი ჯარი გაგზავნა (იბ. II, თ. 29 – დესტუნისის II, გვ. 220). გაიგო თუ არა მეფე გუბაზმა, რომ სპარსელების დიდი ლაშქარი მიდიოდა, ბიზანტიელების სარდალს დაგისთვის ურჩია: მდინარე რიონის სამხრეთისაკენ სამზღვარზე ვიწროების დასაცავად და გზების შესაკრავად ჯარი გაგზავნე და ქალაქ პეტრასაც, სანამ არ აიღო, თავი არ დაანებო, თითონ-კი მთელი თავისი ჯარითურთ ლაზიკის აღმოსავლეთს სამზღვარზე წავიდა ვიწროების დასაცავად და გზების შესაკრავად (იბ. II, თ. 29 – დესტუნისის II, გვ. 230), ამასთანავე მან აღაწიდა და სავირები თავისთვის მოიხირო და იმით 3 კინდინარად (ე.ი. 300 დინარად) არამც თუ ლაზიკის მტრისაგან დაცვა იკისრეს, არამედ დაპირდნენ, იბერიასაც ისე ავოხრებო, რომ სპარსელებს იქ აღარ შეესვლებოდითო (იბ. II, თ. 29 – დესტუნისის II, გვ. 230-231); გუბაზს ავიწყებდოდა, რომ იბერიის აოხრებით თუ სპარსელებს ზიანი მოუვიდოდათ, მთელი ეს უბედურება მაინც მის თანამომქმე ქართლებს დაატყდებოდა თავზე.

ბიზანტიელების ჯარის უფროსი დაგისთე უხეირო სარდალი გამოდგა: იმის მაგიერად რომ ვიწროების სადარაჯოდ დიდი ჯარი გაგზავნა, მან მარტო ასი კაცი გაგზავნა და ვერც ქალაქ პეტრას აღება მოახერხა, თუმცა-კი კეისარს შეუთვალა, დღე დღე ქალაქს ხელში ჩაივადებოთ და თქვენ წყალობას ველიო (იბ. II, თ. 29 – დესტუნისის II, გვ. 232-233). ამბობაში მერმეოვს სპარსეთის ლაშქრითურთ იბერიის საზღვარზე გამოიარა, მაგრამ იმა ადგილას-კი არა, საცა მეფე გუბაზი იდგა, არამედ სამხრეთით, და სულ ლაზიკის სამხრეთის სამზღვრის გასწვრივ მიდიოდა, ისე რომ მდინარე რიონი მარჯვნივ რჩებოდა; აქეთკენ ნაშენობა უფრო თხდად იყო, და ჯარისათვის არავითარი შიში არ არსებობდა (იბ. II, თ. 30 – დესტუნისის II, გვ. 233-234).

სპარსელთა სარდალმა მთელი ლაზიკა ისე განვლო, რომ არსად მეტოქე არ უნახავს. მხოლოდ როცა ვიწროებთან მივიდა, სპარსელებს ბიზანტიელების რაზმი დაუხვდა და მტრის გზას მედგრად უკრავდა. მაგრამ არც იმით დაუხვევიათ უკან. ერთს ბიზანტიელების მიერ ამოხოცილ მეომართა რაზმს მეორე მისდევდა, მეორეს – მესამე. სანამდის ვიწროების მცველი ბიზანტიელი 100 მეომარი არ მოიქანცა; მაშინ ისინი მახლობლად მთის წვერზე ავიდნენ და იქ შეეფარნენ (იბ. II, თ. 30 – დესტუნისის II, გვ. 235). ეს ამბავი რომ დაგისთემ გაიგო, მაშინვე ქალაქ პეტრას აღუა მოხსნა და საჩქაროდ რიონისკენ გაემგზავრა; მას თავისი ჯარისთვის არაფერი უბრძანებია და უპატრონო ჯარისკაცებმაც თავის სარდალს მაგალითს მიჰბაძეს და გაიქცნენ. მაშინ ქალაქ პეტრასში დაშველული სპარსელები გამოვიდნენ ციხიდან და ბიზანტიელების ბანაკს ცარცვა დაუწყეს; მაგრამ ამ დროს მათ უცბათ ჭანები დაეცნენ; ეს ის ჭანები იყვნენ, რომელნიც გაქცევის დროს ბიზანტიელებს არ გააყენენ; ჭანებმა მრავალი ამოსწყვიტეს, და მთელ ბანაკს დაეპატრონნენ; ამის შემდეგ ჭანებიც აიყარნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ (იბ. II, თ. 30 – დესტუნისის II, გვ. 236). სწორედ შემდგომ მოასწრო მერმეოვმაც სპარსეთის ჯარითურთ; ცხრა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც დაგისთე გაქცეულიყო. ქალაქ პეტრას ჯარი უკიდურეს გაჭირვებაში დახვდა, 150 მეომრის გარდა ყველანი დახოცილდნენ; ციხის კედლებიც სრულიად დაზიანებული აღმოჩნდა; მხოლოდ დაგისთესაკით მხდალ სარდალს შეეძლო აღუა აესხნა ასეთი

ციხითგან. როგორც იყო, მერმეოვმ ზღუდე დროებით გაამაგრებინა, ჩააყენა იქ 3.000 გულადი მეომარი, სურსათიც ბლომად დაუტოვა, თითონ-კი უკან დაბრუნდა. ესეა სხვა გზით წავიდა, საცა ბევრი ნაშენობა და სოფლები ეგულებოდა, რომ ჯარს ცარცვა-გლეჯვით ერჩინა თავი (იბ. II, თ. 30 – დესტუნისის II, გვ. 236-237). ამ დროს ერთმა დიდებულმა ლაზმა დაგისთე აიძულა და 2.000 მეომრით სპარსეთს უკან დაედევნა, მტერს ჩახეხრა და როცა ისინი ისვენებდნენ უცბად თავს დაესხა, რამდენიმე კაცი დახოცა, ხოლო სპარსელების ყველა ცხენები წამოასხა. მერმეოვ უკან არ მობრუნებულა და ისევ გზას გაუდგა (იბ. II, თ. 30 – დესტუნისის II, გვ. 238). თუმცა გუბაზმა შეიტყო როგორ შეირცხვინეს თავი ბიზანტიელებმა ქალაქ პეტრას წინააღმდეგ ბრძოლით, მაგრამ მაინც გული არ გაიტეხა, და ვიწროებს მხედ იცავდა. ამ დროს იუსტინიანე კეისარმაც გუბაზს და ლაზებს ფული მოაშველა და ლაზების მოკავშირეებსაც სახელმწიფო უხვად დაუგზავნა. რაკი სპარსელთა სარდალმა ნახა, რომ ლაშქრისათვის საკმარისი სურსათი არ იშოვებოდა, დასტოვა ლაზიკაში ფაერიზის მეთაურობით 5.000 მეომარი, თითონ-კი სომხეთში გადავიდა და იქ დვინის მიდამოებში დაიბანაკა (იბ. II, თ. 30 – დესტუნისის II, გვ. 240). ეს 5.000 სპარსელი მეომარი აიყარა და რიონის პირას დადგა ბანაკად, აქედან პატარ-პატარა რაზმებად ახლო-მახლო სოფლებში დანაავრდობდა და სცარცვა-გამდა ხოლმე. ეს ამბავი შეიტყო თუ არა, მეფე გუბაზმა ბიზანტიელ სარდალს დაგისთეს შეუთვალა, საჩქაროდ მოდი და მომეშველო. დაგისთეც, მთელი თავისი ჯარით აიყარა და რიონის სამხრეთის ნაპირ-ნაპირ გასწია დასავლეთისაკენ და იმ ადგილას მივიდა, სადაც რიონს გადმა ლაზები და-ბანაკებულთ იყვნენ. სწორედ აქ იყო კარგი ფონი, მაგრამ არც ბიზანტიელებმა, არც სპარსებმა ეს არ იცოდნენ; ლაზები ერთ-ბაშად ფონს გავიდნენ და ბიზანტიელებს შეუერთდნენ. სპარსელებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ რიონზე ამ ადგილას ლაზები გადასვლას გაბედდნენ, და არხინად იყვნენ. მხოლოდ სიფრთხილის გულისხმობის 1.000 საუკეთესო მეომარი ბანაკის მცველად დასტოვეს. ორი ამ მცველთაგანი დასახვერად გამოსული ბიზანტიელებს ხელში ჩაუვარდათ და მოკავშირეებმა სპარსელების მდგომარეობის ამბავი შეიტყვეს. მაშინ გამგზავრენ სასწრაფოდ ლაზები და ბიზანტიელები, და 1000 სპარსელ მოულოდნელად თავს დაესხნენ; უმეტესი ნაწილი დაიხოცა, დანარჩენი მოკავშირეებს ტყვედ ჩაუვარდათ; ამ ტყვეებისგან მეფე გუბაზმა და დაგისთემ დანარჩენ სპარსელ ლაშქრის ბინადრობისა და რაოდენობის ამბავი გაიგეს. ადგნენ ისევ და შეერთებულს ჯარით მაშინვე გაემგზავრნენ, რომ შუადამეს უგრძნეულად თავს დასცემოდნენ. სპარსელებმა არაფერი იცოდნენ და ამ დროს არხინად ეძინათ. ჯერ კიდევ ბინდი იყო, როცა ბიზანტიელები და ლაზები სპარსელების ბანაკს თავზე დაადგნენ; უმეტეს ნაწილს ტყველად ეძინა, ვისაც გაეღვიძა ჯერ ჩაუცემელი იყო და უიარაღოდ მტრის მოგერიება არ შეეძლო.

(გავრელება შემდეგ ნომერში)



კოლხეთის საქართველო კატორღის სივლიტის აკადემიის

კოლხეთი ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანა იბერიად იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე პროფ. ლეონ სანთაძე

ლი" (საწინააღმდეგო ნაგებობა, ე.წ. "ორეტი"). ქსენოფონტე ადასტურებს: "ისინი მოვიდნენ სამასი, ერთ ხეში ამოღებული ნაგებობა და თითოეულ მათგანში იჯდა სამ-სამი კაცი" ("ერთიანი, მთლიანი ხისგან გაკეთებული").

პიპოკრატე არ ხმარობს სიტყვა "კოლხეთს", მის ნაცვლად ყოველთვის ამბობს "ფასისს", "ფასისელს". აქედანაც ჩანს, რომ ქალაქი და მდინარე ფაზისის თავის ადგილასაა - ფოთის მიდამოებშია. ვიმეორებთ, აკადემიკოსი თ. ყაუხჩიშვილი წიგნის "პიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ" საძიებელში წერს: "ფასისელები, ფასისის მცხოვრებლები (ფასისი ნიშნავს 1. ქალაქს, ე.ი. "ფასისელები" - ამ ქალაქის მცხოვრებლები და 2. ფასისი ნიშნავს მდინარეს ე.ი. "ფასისელები" - ამ მდინარის მიდამო მხარის მოსახლეობა), შემდეგ აგრძელებს: "ფასისი, იგივე ფაზისი, აქ მდებარე რიონი, მისი დინების ქვემო წელი" და "ფასისი, ქალაქი კოლხეთის დაბლობზე, დაახლოებით იქ, სადაც დღეს ქალაქი ფოთია". (თინათინ ყაუხჩიშვილი, პიპოკრატე... გვ. 82- 83).

პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ დაბეჯითებით ვიცი, რომ საქართველოს ძლიერების, მომავლის საფუძველია ქვეყნის ერთიანობა, ქართველი ხალხის მთლიანობა, რაზეც მრავალი ქართველი პატრიოტი საუბრობს. ქვეყნის ინტერესებს, საჭიროების შემთხვევაში, თავს წირავდნენ არა მარტო ქართველები, არამედ საქართველოში მცხოვრები არაქართველებიც.

ილია ჭავჭავაძის დისშვილმა, დიდმა პატრიოტმა კოტე აფხაზმა (რომელიც საქართველოს სიყვარულისათვის კომუნისტებმა დახვრიტეს) საქართველოს თავდაზნაურთა მთელი უძრავ-მოძრავი ქონება საქართველოს დამოუკიდებლობას უნდებოდა. დღეს რა გვემართება? ბოლო არ უნდა მოეღოს ურთიერთ-გაუგებრობას?

საქართველოში მცხოვრებლებისათვის, ყველა ქართველისათვის სამყოფია ეს დალოცვილი კუთხე. ჩვენთვის მაგალითი უნდა იყოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნტარესი ილია მეორე. ეს დიდი მოღვაწე, დიდი ადამიანი, განუმეორებელი პიროვნება დაუღალავად, მთელი საშუალებებით ღოცავს და ქადაგებს ქართველი ხალხის მთლიანობას, ერთიანობას, რომ ყველა ქართველი ღვიძლი ძეგბი ვართ.

დიდებული წარსული გვაქვს ქართველებს. და თუ რამ გვჭირს აწმყოში, ამას მხოლოდ მტერს ნუ დავაბრალავთ. მტრის წისქვილზე რომ წყლის დასხმა ვერ მოიშაღეს დღემდე ზოგზოგებმა, ესეცაა...

ჩვენი სიღმუხტორის მიზანი. საუკუნეზე მეტი საქართველო ცარილობის კოლონია იყო, სამოცდაათი წელი - წითელი დიქტატურის ხელქვეითი. 1992-2003 წლებში საქართველოში სიბნელე ჩამოწვა (თუმცა, არც დღეს გვაქვს საქმე დიდად სახარბიელოდ - "იღორს"), ქართველ ხალხს თითქმის დაუკარგეს თავისი ღირსება, ქვეყნის ეკონომიკა ათეული

წლებით უკან წავიდა, მოსახლეობის ერთი ნაწილი ფუფუნებაში ცხოვრობს, აბსოლუტური უმრავლესობა კი - სიღარიბისა და სიღატაკის ზღვარს მიღმა...

...ყველაფერი ეს გამოიწვია ელცინის რუსეთისა და აშშ-ს თანხმობით კრიმინალური ძალების მიერ კანონიერი ხელისუფლების იარაღის გზით დამხობამ. ხალხმა ვერ გაითვალისწინა წარსულის გაკეთილები: როცა ქვეყანას უჭირდა, ერთ და ბერი ერთიანდებოდა, ერთად დგებოდა და საქართველო იმარჯვებდა. აქ კი პირიქით, მტრებმა ერთი გახლინეს და ერთმანეთს დაუპირისპირეს. ყველა პოლიტიკური პარტია და ძალა, რომელიც ხელისუფლებაში და პარლამენტში ვერ მოხვდა, ხელისუფლებას, პრეზიდენტს დაუპირისპირდა, იმ პრეზიდენტ გამსახურდიას, რომელმაც მოუპოვა საქართველოს დამოუკიდებლობა. ხელმძღვანელობაში უდავოდ იყო შეცდომები, მაგრამ ეს იმის საფუძველს არ იძლეოდა, რომ ხელისუფლება ძალდატანებით დაემხობა და ქვეყანაში ძმათამკვლელი თბი გაქანდებინათ... ძმათამკვლელ თბი, ფაქტობრივად ორივე მხარე დამარცხდა.

საბოლოო ჯამში დამარცხდა საქართველო. საქართველო ნიჭიერთა ქვეყანაა: ყოველ მეოცეს თუ არა, მეასეს მაინც აქვს პრეზიდენტობის პრეტენზია (მაგრამ ქვეყანაში პრეზიდენტის, პარლამენტის და მთავრობის თავმჯდომარეთა თითო ადგილია). სამწუხაროდ, ასეა დღესაც. მრავალათეული პარტიის ლიდერებს ყველას პრეზიდენტობა უნდა (არა პარლამენტისა და მთავრობის თავმჯდომარეობა). მართალია, წინა ხელისუფლების დროს, ზოგიერთი პარტია დაიწაგრა - მიუხედავად გამარჯვებისა, პარლამენტში არ შეუშვეს (ამისათვის პასუხი ხომ უნდა ავოს იმან, ვინც ეს გააკეთა!).

ბატონ ტარიელ ფუტყარაძეს და მის მეგობრებს უნდა ვუთხრა: გახსოვთ, როგორ დაუპირისპირდნენ განსვენებულ პრეზიდენტს არა მარტო პარლამენტისა და ხელისუფლების გარეთ დარჩენილი ძალები, არამედ მომხრეებიც, "ერთგულებიც"... საქართველოს მოსახრელებმა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელებმა პასუხი არ უნდა ავონ? ქვეყნის და ერის მოღალატე გამყიდველები თუ არ დაიხჯებიან, ცხადია, ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა ძალიან გაძნელებულია!

ბატონებო! არ კმარა პირველი პრეზიდენტის დაბადების, საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღების აღნიშვნა და სამეცნიერო კონფერენციებზე მოხსენებით გამოსვლა. ხედავთ, რას აკეთებენ ზოგიერთი ე.წ. "ზეიადისტები" და "არაზეიადისტები" ოღონდ ხელისუფლებაში მოვიდნენ და არა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას ყიდიან, არამედ მთელ საქართველოსაც. თუ ლუსტრაციის კანონი არ იქნა მიღებული და ავენტები არ გაიშვირა, ქვეყანაში უფრო გართულდება ვითარება. მაგრამ, ვაი, თუ ქართველებმა (ჩვეულებრივ) ავენტობის იარაღი სრულიად უდანაშაულოს მიაკერონ!

კიდევ და კიდევ ვიმეორებ: საქართველოს განვითარების, წინსვლის გზაა ერთიანობა-მთლიანობა. წავიდეთ ამ ნაცვად გზით. დავარწმუნოთ თავი, რომ საქართველოს ერთიანობისათვის საზიანოა, მიუღებელია სამეგრელოსა და მეგრული ენის წინააღმდეგ ბრძოლა. პირიქით, საქართველოს კუთხების შემჭიდროებაა საჭირო!..

...ამ თავში ძალიან მოკლედ გადმოვიცით კოლხეთის წარსული, კოლხეთის ისტორიის მხოლოდ ძირითადი საკითხების ზოგადი მიმოხილვა სქემატურად, რადგან გამოსაცემად მომზადებული გვაქვს მოზრდილი ნაშრომი "ძველი კოლხეთი - აკცონობის ცივილიზაციის აკვანი".

არც ამ ნაშრომის ავტორს არავითარი პრეტენზია არა აქვს, შექმნას ძველი კოლხეთის სრულყოფილი ისტორია.

ზოგიერთი საკითხი ძველი ჭანეთ-ლაზეთის ისტორიიდან. საქართველოში შექმნილია კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექსპერტი რელიგიის დარგში, არასამთავრობო ორგანიზაცია "ნაციონალური ლობის" ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე.

ბათუმშიდან 90 კილომეტრის დაშორებით, ლაზეთში არის სოფელი ანდრავათი, საიდანაც წარმოშობით არიან ანდრიაძეები (ანდრიაშები). აღნიშნულმა ცენტრმა დააარსა ლაზური რადიო "კოლხა" რომლის გადაცემაზე ყოველდღე გადის ეთერში საქართველოს საპატრიარქოს სისშირეზე. კოლხური კულტურის ცენტრი მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა თურქეთში მცხოვრებ და ლაზეთთან ურთიერთობის განსამტკიცებლად ბეჭდავს წიგნებს, ბროშურებს, პრესაში აქვეყნებს მასალებს კოლხეთის, ჭან-ლაზეთის შესახებ.

აქვე გვირდა აღვნიშნოთ: ძველ ბერძნულ, რომაულ ქრონიკებში მრავალი ცნობაა შემონახული ლაზეთზე (ჭანეთზე) - კოლხებზე, ისტორიკოსი ქსენოფონტე ბევრ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ამ ხალხებზე. პეროდოტეს შემდეგ ქართველი ტომების შესახებ ყველაზე მდიდარი ცნობები ბერძნების ისტორიკოსმა ქსენოფონტემ დატოვა. ძველი წელთაღრიცხვის 401 წელს თავის 10 ათასი ბერძენი ჯარისკაცით მან მთელი კოლხეთი გაიარა და მოგვცა ვრცელი აღწერილობა.

აკაკი ურუშაძე წერს: "ქართველ მეცნიერთა ინტერესი ქსენოფონტესადი განაპირობა იმ ძვირფასმა ცნობებმა ძველ ქართველ ტომებსა და მათი სამკვიდრებელი კოლხეთის თაობაზე, რომლებიც დაცულია სახელოვანი ბერძენი ისტორიკოსის "ანაბასისში". "მოგონებები სოკრატეზე" - ეს გახლავთ ქსენოფონტის უმთავრესი ფილოსოფიური ანუ "სოკრატული" თხზულება.

ქსენოფონტეს თქმით, ლაზეთში პოპულარული ყოფილა სალაშქრო სიმღერები და ცეკვები, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში ლაზეთი ბრძოლის ველზე სიმღერითა და ცეკვით მიდიოდნენ. ქსენოფონტე "ანაბასისში" ქართველურ ტომებზე - მოსინიკებზე, ხალიბებზე, ჭან-ლაზეთზე წერდა: "მოწ-

ინააღმდეგეთა თვალწინ გამარჯვებულები როკაუნდენ და მღეროდნენ. როდესაც მტერი უჭურებდა, ომგადახდილი ფერხულს ჩააბამდნენ, ზეიმობდნენ გამარჯვებას ცეკვა-სიმღერით და ლექსობით".

პონტოში, შავი ზღვის პირას მდებარეობდა ქალაქი იბირა (მეგრულად - "მღერანი"); აგრეთვე, ქსენოფონტეს მიხედვით, იქვე მდებარეობდა კარგად გამაგრებული ქალაქი იდესა, რომელსაც ადრე "ფრიქსეს ქალაქს" (ე.ი. კოლხეთის ქალაქს) უწოდებდნენ. კოლხეთი განთქმული იყო უძველესი სიმღერებით, როგორცაა "ოლიოა" და მრავალი სხვა.

როგორც ითქვა, სამეგრელოში დღემდე შემორჩენილია "ყინი ანთარის" რიტუალები. ისიც ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი თვლის: კარდუხი "ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური ტომის სახელია" და ეს ტომები, როგორც ითქვა, ომს სიმღერა-ცეკვით იწყებდნენ და გამარჯვებასაც ცეკვით ავირგებდნენ.

გაზეთმა "კვირის პალიტრამ" (ივლისი-აგვისტო, 2003 წელი) საინტერესო მასალა გამოაქვეყნა სათაურით "მი-ახლოება ფესვებთან": "კოლხური კულტურა უძველესია ცივილიზაციათა შორის, ხოლო ლაზები და მეგრელები ამ კულტურის ძირითადი მატარებლები არიან. თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო იზრდება დანიტერესება ძველი კულტურის მიმართ. ეს ინტერესი ლაზებსაც შეეხო. სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში, ლაზურ კულტურაზე ზრუნვა არასწორი მიმართულებით მიმდინარეობს და, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ლაზური სამყარო ერთიანი ტრადიციული კოლხური კულტურისაგან განცალკევებით წარმოჩინდეს". ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრმა 2003 წლის 22 ივლისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მორიგი საზეიმო შეხვედრა მოაწყო თურქეთიდან ჩამოსული ლაზეთის საპატრიარქოლოდ, რომლებიც ჩვენი წინაპრების ძველი ქართული პანგებით დამუხტული კონცერტი ჩაატარეს. კულმინაციური წერილი იყო ლაზური დეკსები და მეგრული სიმღერა "ასე ჩონგური".

"უკვე ათი წელია, - ამბობდნენ სტუმრები, - ვცდილობთ შექმნათ ლაზური წერილობითი კულტურა. მართალია, შეგძელით ქართველებში თავის გადარჩენა, მაგრამ თუ ვეგმასომიერად არ ვიზრუნებთ, შესაძლოა ლაზური კულტურა გაქრობის საშიშროების წინაშე დადგეს". ქართველმა საზოგადოებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას, ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს.

კლიმენტი შელია, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე





კიდევ გვერთ, რომ ამ ხელისუფლებას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება უნდა?

ზუგდიდში 20-21 ნოემბერს გამართული შეხვედრა ჩატარდა ქართულ-აფხაზური ახალ-გაზრდული დიალოგის ფარგლებში.

შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაცია – „ახალი თაობა სამოქალაქო ინიციატივებისათვის“.

შეხვედრაზე ექსპერტებად მოწვეულ იყვნენ ნინო კალანდარიშვილი და პაატა ზაქარაიშვილი, რომლებიც უწევენ ორგანიზებას უწევენ ქართულ აფხაზური ახალ-გაზრდული დიალოგის შეხვედრებს საზღვარგარეთ. მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომლები და სკოლის მოსწავლეები გალის რაიონიდან. ასევე იყო 2 სტუდენტი აფხაზეთიდან.

შეხვედრაზე სახელმწიფო მართვის მაგისტრმა არჩილ თოდუამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საქართველოს პოლიტიკური გარემოს ანალიზი“. მანვე წარმოადგინა კვლევის ანალიტიკური ანგარიში – „სახალხო დიპლომატიის როლი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში“.

ანგარიშის თანახმად სულ გამოკითხულ იქნა 500 მოქალაქე როგორც ადგილობრივი, ასევე დევნილი და ასევე ეთნიკური აფხაზებისა. ანგარიშის თანახმად – ადგილობრივებისა და დევნილი მოსახლეობის (ისინი ვინც წლებია ზუგდიდში ცხოვრობენ) აზრით, სახალხო დიპლომატიას, კონფლიქტის მოგვარების საკითხში არ შეიძლება რამე როლი დაეკისროთ, იმიტომ, რომ, თუნდაც დევნილები დაუბრუნდნენ თავიანთ უწინდელ სამოსახლოებს, არის კონფლიქტის განახლების (ძირითადად შურისძიების მოტივით) დიდი საშიშროება. მათ მიანიჭათ, რომ ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრება ახლო მომავალში გამორიცხულია. გამოკითხულთა მცირე ნაწილი (დაახლოებით – 150 კაცი, უფრო ისინი, ვინც გალის რაიონსა და მის სოფლებში ცხოვრობენ, ასევე ეთნიკური აფხაზებიც) ფიქრობს, რომ სახალხო დიპლომატიას შეუძლია განსაკუთრებული, პოზიტიური როლის თამაში და მისი გაძლიერება, როგორც ქართული, ასევე აფხაზური მხარის მორალური ვალდებულებაა.

შეხვედრისას უმთავრეს პრობლემად დაისვა ქართული მედიასაშუალებების მიერ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების არასწორი, საკუთარი ინტერპრეტაციით გაშუქების საკითხი. შეხვედრის მონაწილეებმა (გალის რაიონის სკოლების მოსწავლეებმა) აღნიშნეს, რომ არსებული სიტუაცია ამ ტერიტორიაზე არც თუ ისე დაძაბულია, როგორც ეს თუნდაც „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტ ემა გოგოხიას მიერ მომზადებულ სიუჟეტებში ჩანს. მართალია აფხაზურ სკოლებში მიმდინარეობს კონტროლი, ამოწმებენ რამდენიმე თვეში ერთხელ ასწავლიან თუ არა ბავშვებს რუსულად, მაგრამ ძირითადი სასწავლო ენა მაინც ქართულია და აფხაზურს, როგორც უცხო ენას ისე სწავლობენ. მათი აზრით ის, რომ აფხაზური ისწავლება როგორც უცხო ენა – სკოლებში სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. გალის რაიონის სკოლების მოსწავლეები ერთდრულად ქართულ, აფხაზურ და რუსულ ატესტატებს იღებენ.

მოყვანილ იქნა რამდენიმე ფაქტი თუ როგორ სთავაზობენ ქართველი ჟურნალისტები – უფასო მკურნალობის, ან თანხის გადახდის სანაცვლოდ აფხაზებს ან აფხაზეთში ცხოვრებ ქართველებს დადგმულ, სპექტიაკლის მაგვარ სიუჟეტებში მონაწილეობის მიღებას, სადაც მათ უარყოფით კონტექსტში უნდა წარმოაჩინონ აფხაზები და რუსები. მათი აზრით ეს ძაბავს სიტუაციას, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ რომ რამდენიმე ქართულ არხს აფხაზეთის ტერიტორიაზეც უყურებენ.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითი იყო, თუ როგორ შესთავაზა ემა გოგოხიამ ქართველ გოგონას წინადადება მიეღო სიუჟეტში მონაწილეობა – იგი ითამაშებდა აფხაზ ბიჭზე შეყვარებულის როლს, სადაც თითქოს რუსი ოკუპანტების და აფხაზი

კრიმინალების გამო ვერ ახერხებენ ისინი ერთმანეთთან შეხვედრას და ქართველი პოლიციელებისა თუ ჟურნალისტების მეშვეობით შეძლებენ მხოლოდ ერთმანეთის ნახვას და შემდგომ დაქორწინებასაც.

აღინიშნა, რომ არც აფხაზები და არც რუსები არ ერჩიან იმ მოსწავლეებს რომლებიც სკოლაში ქართველების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე დადიან, რამდენჯერმე იყო შემთხვევა როდესაც ისინი კრიმინალებსა და პოლიციელებს შორის შეტაკების მომწვევენი გახდნენ. ეს კი ქართულმა მედიამ გააშუქა როგორც აფხაზების თავდასხმა ქართველ მოსწავლეებზე.

ყაჩაღური თავდასხმები ხდება ხოლმე, მაგრამ არა იმ სისწრით როგორც ეს ქართულ ტელევიზიებში შეუძლება.

აქედან გამომდინარე, თვალნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლება და მათი ხელქვეითი მედიასაშუალებები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ხელი შეუშალონ აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის ფაქტორის აღდგენას და გზას უღობავენ სახალხო დიპლომატიას!

გთავაზობთ ნაწყვეტებს აღნიშნულ ღონისძიებაზე სახელმწიფო მართვის მაგისტრის არჩილ თოდუას მიერ გაკეთებული მოხსენებიდან: „საქართველოს პოლიტიკური გარემოს ანალიზი“

ნებისმიერ საკითხში არსებობს თეორია და ის პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს თეორიის განხორციელებას. მეც ჩემს დღევანდელ მოხსენებაში შევეცდები „საქართველოს პოლიტიკური გარემოს ანალიზი“ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით წარმოვადგინო.

იმისთვის, რომ ქვეყნის პოლიტიკური გარემოს ანალიზი ფართო ჭრილში წარმოვადგინო რამდენიმე ძირითად ნაწილად დაგვაყო და ვეცდები შეძლებისდაგვარად სრულყოფილად შევეხო თითოეულ მათგანს.

სანამ უშუალოდ ძირითად თემაზე გადავიდოდე, მსურს ავღნიშნო, რომ ჩემთვის როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქისათვის ქვეყნის განვითარების საქმეში მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის, როლის ცოდნა და საერთაშორისო ურთიერთობებში მისი როლის განსაზღვრა. შემდეგი ფაქტორი, რა თქმა უნდა, საქართველო, როგორც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ქვეყნის დაფიქსირებაა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, ისე, რომ იგი არა რომელიმე ქვეყნის აგრესიის, არამედ როგორც ზრუნვის ობიექტად თუ საჭირო მოკავშირედ იქნეს. ამდენად, მიმაჩნია, რომ ამ ყველაფერთან ერთად უმნიშვნელოვანესია საქართველოში დღებურ-დღური დემოკრატიის არსებობა, მისი ქართულ ტრადიციებთან და კულტურასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ფართოდ გავრცელებული თეორიებით პატარა ქვეყნები არ უნდა არსებობდნენ. საერთაშორისო ურთიერთობათა ბევრ თეორეტიკოსს და ზოგიერთ პოლიტიკოსს პატარა ქვეყნები ანაქრონიზმად მიანიჭა. მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდე გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ პატარა ქვეყნებს არსებობის სულ უფრო ნაკლები შანსი რჩებათ. მეორე მსოფლიო ომის წლებში მრავალი მათგანი იქნა ოკუპირებული, მაგრამ უკვე შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ პატარა ქვეყნებს აღმოაჩნდათ ძალია ხელახლა აღორძინებისა.

XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულიდან ათობით ახალი ქვეყანა აღორძინდა და მათი უმეტესობა პატარა ქვეყნებია, მიუხედავად იმისა რომ ბევრი მათგანი მეტად სუსტი იყო სამხედრო თვალსაზრისით და წესით პირველივე სერიოზულ კრიზისს უნდა აღევაა პირისაგან მიწისა.

პატარა ქვეყნების არსებობა უპირველეს ყოვლისა განპირობებულია გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური ფაქტორებით და რაც მთავარია დიდ სახელმწიფოთა

სურვილითა და დაინტერესებით. რადგანაც საერთაშორისო სტაბილურობის შენარჩუნებისათვის ძალთა წონაწილობის არსებობა აუცილებელია, საჭიროა პატარა ქვეყნების, როგორც ფუნქციონალური სტრუქტურების არსებობა. ხშირ შემთხვევაში პატარა ქვეყნებში მასშტაბურ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცვლილებებს ძალთა წონაწილობის მექანიზმის ცვლილება განაპირობებს. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი – ესაა საერთაშორისო სამართლისა თუ ორგანიზაციათა გაზრდილი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიო ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, იმდენად, რამდენადაც დგინდება ქვეყნის ახალი წესები და ნორმები. ეს პროცესი დაიწყო მეოცე საუკუნის ბოლოდან, როდესაც თანდათანობით დამკვიდრდა ერთა თვითგამორკვევის უფლება, საკუთარ ტერიტორიაზე სახელმწიფოთა სუვერენული უფლება და ასე შემდეგ. მაგრამ მიუხედავად იმისა რომ ძლიერმა სახელმწიფოებმა აღიარეს პატარა ქვეყანათა სუვერენული უფლებები (პაავის პირველი (1889) და მეორე კონფერენცია (1907) მაინც ბატონობდა ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა. საერთაშორისო ურთიერთობებში პატარა სახელმწიფოთა როლი თითქმის უმნიშვნელო იყო. ვუდრო ვილსონის იდეა ერთა ლიგის შექმნის შესახებ იყო მცდელობა საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალიზაციისა. ერთა ლიგაში პატარა ქვეყნები ფორმალურად ძლიერ ქვეყანათა ტოლი უფლებებით სარგებლობდნენ, მაგრამ მათი რეალური ძალა მაინც მინიმალური იყო. დაახლოებით იგივე განმეორდა გაეროს შექმნის შემდეგაც, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობებისა თუ ზოგადად აღამიანთა ცნობიერების განვითარებამ გვიჩვენა, რომ პატარა სახელმწიფოს ბედი თავად ამ ქვეყნის მოსახლეობის ხელთაა, თუმცა კი არსებული რეალობის გათვალისწინებით, პატარა ქვეყნის თვით არსებობაც კი გაცილებით უფრო სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ნებისმიერი დიდი სახელმწიფოს მოქმედება საერთაშორისო პოლიტიკაში. პატარა ქვეყანათა ეროვნული უსაფრთხოება ქვეყნის შიგნით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეთნო-კულტურულ და აუცილებლად მოქნილ საგარეო პოლიტიკაზე დამოკიდებული. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო დიპლომატიაში თავის გამოკვეთილ პოზიციას გამოხატავენ საშუალო და პატარა სახელმწიფოთა დიპლომატები. მათ საკმაოდ გამოცდილი და განსწავლული დიპლომატია გააჩნიათ. მთელ რიგ ქვეყნებში, აქცევენ რა განსაკუთრებულ მუხრადღებას დიპლომატთა აღზრდისა და სწავლა-განათლების საკითხებს, გახსნილი აქვთ სპეციალური დიპლომატიური სასწავლებლები, სადაც დიპლომატიის ზოგად საკითხებთან ერთად სწავლობენ თავიანთი ქვეყნის დიპლომატიის ხასიათსა და სპეციფიკას...

...აუცილებელია საქართველოში ძლიერი დიპლომატიური სასწავლებლის არსებობა, სადაც იქნება ყოველგვარი საშუალება იმისა, რომ თეორიულ დონეზე შესწავლილ იქნეს თანმიმდევრული, შედეგებზე გათვლილი დიპლომატიისა და ზოგადად პოლიტიკის წარმოების ხერხები და საშუალებები. ეს რა თქმა უნდა დიდ ძალისხმევასთან თუ ფინანსებთანაა დაკავშირებული, მაგრამ, როგორც მთელ რიგ სახელმწიფოთა გამოცდილება გვიჩვენებს, ამ მხრივ გაწვეული ინვესტიციები, თუ კი ისინი მიზანმიმართულად განხორციელდა, ნებისმიერი პატარა ქვეყნის ინტელექტუალურ სიმდიდრეს წარმოადგენს და მისი ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურება...

...ინტელექტუალური სიმდიდრის ექსპორტის მიხედვით, ბოლო წლებში მიღწეული წარმატებებით ირლანდიელებს მსოფლიოში ალბათ დიდხანს არ ეყოლება ბადალი, რასაც მათ ახალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის ზედმიწევნით მაღალი დონის

ცოდნით მიადწიეს (მიუხედავად იმისა, რომ დღეს ისინი უმძიმეს ფინანსურ კრიზისს განიცდიან). ჩვეულებრივი აგრარული ქვეყნიდან, რომელიც რამდენიმე წლის წინ არაფრით განსხვავდებოდა ევროპის სხვა საშუალო ქვეყნებისგან, ირლანდიელებმა უზარმაზარი და სწრაფი ნახტომი გააკეთეს ამ სფეროში და დღეისათვის საინფორმაციო ხილს წარმოადგენენ ევროპასა და ამერიკის კონტინენტს შორის. ძალზედ მოკლედ რომ ვთქვათ, მათი საქმიანობა, დროის განსხვავებულობის გამო (საშუალოდ 7 საათი) ამერიკაში მთელი სამუშაო დღის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის დამუშავებაში და მომავალი სამუშაო დღის პროგრამების მომზადებაში გამოიხატება. როგორც ამ საკითხის საფუძვლიანმა შესწავლამ გვაჩვენა, ირლანდიელებს ამისათვის არც ეროვნული ტრადიციები დაუთმიათ და არც სხვისი დაუმიკვიდრებიათ საკუთარ ქვეყანაში, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში საქართველოში გვემართება ამ ბოლო დროს...

...საქართველო ტიპური, ახლანდამოყალიბებული პატარა ქვეყანაა, რომლისთვისაც უმთავრეს პრიორიტეტს, გამომდინარე რთული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებიდან, უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა არა მხოლოდ ძლიერ არმიას ან ძალოვანი სტრუქტურების არსებობას გააჩნია, არამედ იმასაც, თუ რამდენად კარგადაა დასაბუთებული ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აუცილებლობა საერთაშორისო საზოგადოებისათვის; ანუ ის, თუ რამდენად არიან დაინტერესებულნი სხვა სახელმწიფოები ახალგაზრდა მცირე ქვეყნის არსებობითა და დამოუკიდებლობით.

90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველო ამოვარდნილი იყო ყოველგვარი საერთაშორისო კონტაქტისგან. მას შემდეგ რაც საქართველო მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, საგარეო თუ საშინაო მტრები დაუპირისპირდნენ ეროვნულ, ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, სისხლიანი მეთოდებით დაამხეს იგი და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების დროს საქართველო მარტო დარჩა და არც ერთ სახელმწიფოს არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯი რუსული აგრესიის შესაჩერებლად.

ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა აშკარა გახადა, რომ საგარეო პოლიტიკის აწყობა არა მარტო განსაკუთრებულ ისტორიულ მნიშვნელობაზე, არამედ გეოპოლიტიკური მდებარეობის სისუსტეებისა და უპირატესობების განსაზღვრაზე დამოკიდებული...

...საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის უმთავრესი უპირატესობა ისაა, რომ დასავლეთისათვის იგი არის რუსეთის ალტერნატიული ენერჯო-მატარებლების გამტარი ქვეყანა. სწორედ ეს იქნა თავის დროზე გაცნობიერებული საქართველოს, აზერბაიჯანის, ამერიკის და სხვა რამდენიმე სახელმწიფოს ხელისუფალთა მიერ და განხორციელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი; 2006 წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შევიდა ბაქო-თბილისი-ჯორჯთაყვის გაზსადენი, 2007 წლიდან კი დაიწყო ბაქო-თბილისი-ყარსი-ახალქალაქის საკრინიზო ხაზის მშენებლობა. ყოველივე ამან ნაწილობრივ განაპირობა ის რომ, საქართველო მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე დაფიქსირდა როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო...

ამასთანავე თავის დროზე კლინტონის ადმინისტრაციამ შექმნა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა აშშ-ს ენერჯოგანვითარების სტრატეგიის შემდგომი ათწლეულის პერსპექტივას, სადაც სწორედ კასპიის საბადოები ჩაითვალა ამერიკის ენერჯოუსაფრთხოების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად.

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები...

პელმუტ პალერი დაიბადა 1939 წლის 21 ივლისს, გერმანიაში. თამაშობდა კლუბებში "ბე აუგსბურგი" (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), "ბოლონია", "იუვენტუსი" (იტალია), "აუგსბურგი" (გერმანია).

კურტ ჰამრინი დაიბადა 1934 წლის 19 ნოემბერს, შვეიცარიაში. თამაშობდა კლუბებში "აიკი", "სოლნა" (შვეიცარია), "იუვენტუსი", "პადოვა", "ფიორენტი-ნა", "მილანი", "ნაპოლი", "კაზერტა" (იტალია).

მრჰარდ ჰანაპი დაიბადა 1929 წლის 8 ივნისს, ავსტრიაში. თამაშობდა კლუბებში "ვაკერი" და "რაპიდი" (ვენა, ავსტრია). ერჰარდ ჰანაპი ევროპის 1950-იანი წლების ყველაზე მრავალმხრივი მონაცემების მქონე ფეხბურთელად არის აღიარებული.

იხმარი

"ბარიგების" ოჯახი საზღვარზე გაჩხრიკეს. ბავშვს ჯიბეში ვარდისფერი პაკეტი უპოვეს. - ეს რა არის? - ეკითხება ინსპექტორი ბავშვს. - "ჰერონი". - ვარდისფერი რატომაა? - საბავშვოა, მარწყვის გემოთი.



კიდევ ერთი ახალი ვალი

საქართველო ამერიკული „ექსიმ ბანკისგან“ 200 მილიონის სესხის აღებას გეგმავს. ამ საკითხზე მოლაპარაკებებს ამერიკაში მყოფი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი მართავს.

უდანაშაულო ადამიანი ხელისუფლების ძალმომრეობას შეეწირა

ამას წინათ დამწვრობის ცენტრში გარდაიცვალა 40 წლის ნანა ფიფია, რომელმაც 27 ოქტომბერს სუბელიანის უწყების ეზოში თავის დაწვა სცადა.



ფიფიას სხეულის 30%-ზე მეტი ჰქონდა დამწვარი და მესამე ხარისხის დამწვრობა აღენიშნებოდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო დღეებში განსაკუთრებით მძიმე იყო.

კოდორის ხეობაში რუსებმა იარაღის საწყობს მიაგნეს

ამას წინათ, ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსმა სამხედროებმა საკმაოდ დიდი რაოდენობის იარაღის სამალავი აღმოაჩინეს. ინფორმაციას ამის შესახებ აფხაზური მედია ავრცელებს.



ISSN 1987-8966 ილორი
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანი
WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de